თამაზ გიორგაძე გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი. იგი 15 წელიწადი ამ რაიონის მთავარი ექიმი იყო, მერე – გლდანის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, შემდეგ – თბილისის გურიშვილის სამსახურის უფროსი. ასე რომ, ბატონი თამაზი კარგად იცნობს გლდანელთა გასაჭირსა და იმ პრობლემებს, რაც დღეს მოსახლეობის წინაშე დგას. ბევრს ეხმარებოდა, მოგჯერ გამოსდიოდა, მოგჯერ, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ბევრი უკმაყოფილო რჩებოდა. სწორედ ამიგომ გადაწყვიტა კენჭი ეყარა.

– უამრავ დიდი დრო გავიდა, რაც დეპუტატის ამპლუაში მოველინეთ გლდანელებს, რა გაგაკეთეთ მათთვის?

– ძალიან ბევრი. აღრე ზოგი საკითხის გადაწყვეტა მიჭირდა. ახლა ბევრი რამ შევძელი. ჩემი წინასაარჩევნო დაპირებებიდან ნაწილი შევასრულე, სამწუხაროდ, ზოგი რამ მოუგვარებელი დამრჩა.

– კერძოდ, რა დაგრჩათ?

– გროლეიბუსის გაყვანა: თუმცა, დიდი დღიმიგლდანის წრიული ხაზის ტერიგორია მთლიანად მოასფალტდა, ბოძებიც ჩაიყარა, მიმდინარეობს მუშაობა.

დუმბაძის პროსპექტი მთლიანად მოასფალტდა, წყლის საკითხი პრაქტიკულად გადაწყდა. აღსდგა 130 ლიფტი, დაახლოებით 300 ადამიანს სამედიცინო დახმარება გავუწიეთ. ლენის მხრივ ყველაზე უფრო გლდანელები იყვნენ დაჩაგრულნი, დღეს ეს პრობლემაც მოხსნილია.

– რაკი თავად შეეხეთ ამ საკითხს, ეგეგ ბრძანოთო, რა მოგვცა „ეი-ი-ესმა“ და რას მოგვცემს „რარა ეესი“? ზოგი ამას რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას ეძახის, ზოგიც – საქართველოს ორიენტაციის შეცვლას. რა ვიცი, ისედაც გაჭირვებულ ხალხს, ღმერთის სასოწარკვეთონო. ამას სახელმწიფო მინისტრის პარლამენტიდან „გაქცევაც“ დაემგა.

– არა ქალბატონო, ეს მტკნარი სიცრუეა. დავიწყოთ სახელმწიფო მინისტრის პარლამენტიდან წამოსვლით. მან უკვე დაამტკიცა კითხვებზე პასუხის გაცემა, ჩვენც ყველანი ავდექით და გამოვედით, სხდომა უნდა შეწყვეტილიყო, მაგრამ ამის შემდეგ ქალბატონმა ბურჯანაძემ გააგრძელა სხდომა, ჩემი აზრით, სრულიად უკანონოდ მთელი საათი მისცა ოპოზიციას იმის უფლება, რომ ელანძღათ პრეზიდენტი და ხელისუფლება.

თამაზ გიორგაძე აცხადებს:

ჯერ ერთმანეთში ჩხუბობენ, მერე ამოძრჩევლებსაც დაერევიან

რაც შეეხება რუსეთის შემოსვლას „თელასში“, ისეთი საგანგაშო არ არის, როგორც ზოგიერთს ჰგონია. ის, რაც პარლამენტში აგდა და ის, რაც მასმედიამ ააგორა, ლამის საქართველოს ანექსიად მონათლეს, მე კატეგორიულად არ ვიმიარეს ამას. ემოციებით კი არ უნდა ვიმსჯელოთ, არამედ პროფესიონალების განცხადებებს უნდა დაველოდოთ და ნათლად გავაანალიზოთო, თუ რა შეიძლება ამან მოგვიგანოს.

ვფიქრობ, თუ რუსეთის განკარგულებაში არ იქნება გადამეცმა ხამები, არა მგონია საგანგაშო მდგომარეობა იყოს. კვლავ ვიმეორებ, ამ საკითხში მე კომპეტენტური არ გახლავართ.

– ფიქრობდით, რომ ასე იოლად შეეგუებოდა „ოპოზიცია“ საარჩევნო კოდექსის მიღებას და ცესკოს დაკომპლექტებას? როგორც ვიცი, თქვენ ცოტა სკეპტიკურად იყავით განწყობილი.

– მე ვფიქრობდი, ოპოზიცია ყველაფერს გაკაკეთებდა, რათა კენჭისყრა ჩაეშალა, და ყველაფერი სახელისუფლებო ფრაქციებისათვის დაებრალებინა. მათ ხომ ასეთი გამაქსიმალურად მიიღეს მონაწილეობას არჩევნებში და სწორ არჩევანსაც გაიკეთებს.

– მე ლეგიბორისტული პარტიის ოფისთან ვცხოვრობ, ბავშვები დღემდე ვერ დამიწყნარებია. რაც იმ დროს იქ ხდებოდა, ალბათ, კატეგმიების ქვეყანამეც არ მოხდებოდა. ეს მარტო ცემა-გაყეპა არ იყო, ეს იყო შემდეგი ბრბოს დაუნდობლობა. სამართლიანად არის სამოგგადოება შეფიქრიანებული. არჩევნების დროს მოვლენები უმართავი რომ გახდეს, რა გვეშველებაა? რა ქქვია ასეთ საქციელს?

– დაუჯერებლობის სინდრომი ქქვია ასეთ საქციელს. ასე შევარდნენ „ნაციონალები“ საარჩევნო კომისიაში და არავინ დასჯილა; ასე სცემენ და თავს უგებავენ, თვალს აგდებინებენ პარლამენტგარეს. კვლავ არავინ დასჯილა. რა, პაპუასები ხომ არა ვართ?

ახლა ორი პარგაი ებრძვის ერთმანეთს, არჩევნების დროს კი, ალბათ, ამომრჩეველებსაც დაერევიან. სამართალდამცავებმა ახლავე, დაუყოვნებლივ უნდა გამოიძიონ, დანაშავეებმა პასუხი უნდა აგონ, ვიმეორებ, ახლავე, სწრაფად, თორემ ხვალ გვიან იქნება.

– მე თქვენს მაგიდაზე სხვა პარლამენტარებისგან განსხვავებით, „საქართველოს რესპუბლიკას“ ვხედავ. რას იგყვით?

– ვფიქრობ „საქართველოს რესპუბლიკა“ ერთადერთი მართალი და აკადემიური გაზეთია. გათვლილი არ არის მხოლოდ და მხოლოდ სენსაციამე. იმ საკითხებზე და ფაქტებზე, რომლებმაც შეიძლება მისი გირავი გაბარდოს.

მე ხშირად ვფიქრობ მის დახმარებაზე, ცენტრში რა მოგახსენოთ, ლდანში კი ყველა ჯიხურში იყიდება თქვენი გაზეთი. საერთოდ, იგი უფრო მეგად კრიგიკული უნდა იყოს, ვიდრე დღეს არის. და რაკი საუბარს გაბეთით ვახრულებთ, მე მთელი საქართველოს გასაგონად ვიგყვი, – იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, თუ გინდათ ქვეყანაში მშვიდობა და აღმშენებლობა იყოს.

ზარაბი ანასაშვილი.

საწარმო

„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანს“ ქართული ცემენტი ამენებს

პროდუქცია, რომლის მეარმოებელს რაკლამაციები არ მოსდის



რუსთავის ცემენტის ქარხანა.

სამამულო მრეწველობა ნელ-ნელა ფეხზე დგება. აგერ, ახლახან შევიგყვეთ, რომ „ყაზბეგმა“ თავისი პროდუქცია ერაყში გაიგგანა. ვინ იქნება შემდეგი, კიდევ ვინ დაამტკიცებს, რომ ქართველ მეწარმეებსაც შეუძლიათ კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამომშვება? ეს კითხვა აწუხებს ყველას, ვისაც ქვეყნის მომავალი ადარდებს და ვინც ჩინეულად იცის, რომ სხვისი მოიმედე კაცი წელში ვერასოდეს გაიმართება.

ღმერთ, სამამულო მრეწველობა სულ უფრო გაბედულად ირჯება, თუმცა წარმაგებულია სიმრავლით ჯერჯერობით თავს ვერ მოვიწონებთ. ამიგომაც გვიხარია თითოოროლას გამობრწყინება, რადგან ამაში ვხედავთ სიიმაყის გარკვეულ ნამეცეცებს. სამწუხაროდ, ქვეყანაში ჯერ კიდევ ვერ შეეძნა მეწარმეთათვის ხელშემწყობი გარემო. ჩვენი მიღწევებიც ამიგომ არის მოკრძალებული.

იმათ მორის, ვინც ჯიუტად ებრძვის თვითდამკვიდრებისათვის, არის სააქციო საზოგადოება „რუსთავეკმენტი“. მისი პროდუქცია თავისი ხარისხით ევროსტანდარტებს უტოლდება, ამიგომ სიამოვნებით ყიდულობენ საქართველოს რკინიგზა, ინგმენი, ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია, მეგრომშენი... „რუსთავეკმენტის“ პროდუქცია იყიდება საქართველოს მეზობელ აზერბაიჯანის რეგიონებშიც. ვფიქრობ, რუსთაველი მეცეკმენტეებისათვის ფრიად პრესტიჟული და საამაყოა, რომ სწორედ მათი დახმარებით შენდება სამების საკათედრო გაძარი. ეს ნდობაც არის და აღიარებაც.

სწორედ ამ სიამაყის გამონათება დავინახე „რუსთავეკმენტის“ ქარხნის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის, ინჟინერ-მშენებლის გიორგი სალაყაიას გამოხედვაში. ეს ახალგაზრდა კაცი საწარმოს 2000 წლიდან თაეკაკოს და ამ ოთხ წელიწადში მისი წლიური წარმადობა 250 ათასი გონიდან 370 ათას ტონამდე გაზარდა. ეს თავისთავად მეტყველებს დიდ მოთხოვნილებაზე, რაც, უპირველესად, ცემენტის ხარისხმა განაპირობა.

– ჩვეულებრივ 400 და 500-მარკიან ცემენტს ვაწარმოებთ. მარგო „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსაგენი ორ წელიწადში 100 ათას ტონას მოიხმარს. სათანადო ხელშეკრულება გაფორმებულია და გვირთს დანიშნულების ადგილებამდე საქართველოს რკინიგზის მეშვეობით ვაგზავნით. რეკლამაცია რას ნიშნავს, უკვე დამავიწყდა. ხარისხს, გარდა სათანადო გექნოლოგიისა, განსაზღვრავს კირქვა, რომელსაც დედოფლისწყაროდან ვეზიდებით. იქ აუარება ნედლეულია და ჩვენი ქარხანა მრავალი წლის მანძილზე უმრუნველყოფილი იქნება.

– რასან ხარისხი „ეპოვეთ“, ალბათ, ადარ დაკარგავთ, არა?

– რა თქმა უნდა. აკი ნაბრძანებია, სახელის გაგეხვის თავის გაგეხვა სკობსო.

– მაგრამ მავანი და მავანი მაინც ამბრნებს და მდარე ხარისხის პროდუქციას თქვენი სახელით ასაღებს. გელვეზეითი არაერთხელ მინახავს რეკლამა, იყიდეთ „რუსთავეკმენტი“ და არა „რუსთავის ცემენტი“.

– ფალსიფიკაცია და გარიფი ჩვენი უპირველესი მტერია. სამწუხაროდ, პაგარ-პაგარა საამქროებს, აქა-იქ რომ მიმოფანტულან და თავიანთი ნაცოდველარს ჩვენი საწარმოს ნაწარმად ასაღებენ, სერიოზულად არავინ ეგრძვის. როგორც ვიცი, წლეულს ეკონომიკურ დანაშაულობებთან ბრძოლის სამმართველომ რამდენიმე ფაქტი გამოავლინა, ვიღაც-ვიღაცეები დაიჭირეს კიდეც, მაგრამ შემდეგ რა მოხდა, არ ვიცი. ამის გამო ხშირად ვცვლით სასაქონლო ნიშანსა და გარას, მაგრამ ამას სასურველი შედეგები არ მოაქვს, რადგან სახელმწიფო ძალისხმევავა საჭირო.

– გარიფი რა, მაღალია?

– გონაზე ათი ლარი. წარმოიდგინეთ, მარგო კირქვა წელიწადში 500 ათასი გონა შემოგვაქვს. რკინიგზის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას ვაწარმოვებ. დამპირდნენ, ცოტა შეღავათს მოგეცემთო.

– მაგბთაც ხომ თავისი ინტერესები აქვთ, ეგენიც გარკვეულ ხარჯებს ეწევიან.

– ჰოდა, ისეთი ოპგიმალური ტარიფის შემუშავება გვსურს, რომ არც ერთი დაბარალდეს და არც მეორე.

– ბატონო გიორგი, საკმაოდ წარმატებული საწარმო გაქვთ. პროდუქციას როგორ პყიდიან და რა სარგებელს იღებს აქედან ქვეყნის ბიუჯეტი?

– ერთ გონას 55 ამერიკული დოლარის ეკვივალენტ ლარად ვყიდით. დედოფლისწყაროს ადგილობრივ ბიუჯეტში ყოველწლიურად 20 ათასი ლარი შეგვაქვს, ცენტრალურსა და რუსთავის ბიუჯეტს კი 7 მილიონს ვაძლევთ. ეს შენაგანები ახლო მომავალში კიდევ უფრო გაიბრდება, ვინაიდან დღევანდელ 70 პროცენტს სიმძლავრეს 100 პროცენტამდე გავაღიდებთ.

– გამოდის, რომ ახალ სამუშაო ადგილებსაც შექმნით, არა?

– დიახ. ამჟამად საწარმოში 700 კაცი მუშაობს. მათი ოდენობა 1000-მდე გაიბრდება. ალბათ, დაგინტერესებთ, რომ ჩვენი მუშის საშუალო ხელფასი 250 ლარია.

– აგაშენოთ დმერთმა! 1000 უმრუნველყოფილი ოჯახი დიდებული საქმეა.

აი, ასეთი იყო ჩვენი სახელგანელო საუბარი, ვინაიდან გიორგი სალაყაიას საწარმოსათვის სასწრაფო და გადაუდებელ საქმეზე მიეჩქარებოდა. ისევ დამრჩენია თავი დავიიმედო, რომ „რუსთავეკმენტის“ მაღალხარისხოვან ნაწარმს მომხმარებელიც სათანადოდ გამოიყენებს, ქვეყანას მკვიდრ შენობანაგებობებს შემაგებს.

ელგუჯა ლებანიძე.

..ფუსტობის“ დღესასწაული მესტიაში

მესტიაში გუშინ „ფუსტობის“ დღესასწაული გაიმართა. „ფუსტობა“ სალხური გრადიციაა და ის სათავეს რაგბელეზუმ-სვანეთში იღებს. ეს იყო ერის, უმთავრესად კი ეკლესია-მონასტრების დამცველი გვარდია, რომელიც ქრისტიანულ გაძრეზსა და მონასტრებს იცავდა, მგრის შემოსევის შემთხვევაში უსაფრთხო ადგილებში სიწმინდეებს, განძეულობასა და სასულიერო პირებს ხიზნავდა.

აღნიშნული ღონისძიება ბიზნესმენ ბაღრი პაგარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდის დაფინანსებით და ეროვნული გვარდიისა და ნიკორწმინდის გაძრის მოძღვრის მამა ავთანდილ გიორგობიანის ინიციგაციით ხორციელდება.

„თბილისური დღეები“ თამარაშვილში

თბილისს მერიის და საკრებულოს კულტურის საქალაქო სამსახურმა განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროს ინიციაგიით სამაჩაბლოს ქართულ სოფელ თამარაშენში აქცია – „თბილისური დღეები“ გამართა.

როგორც „ინგერ-პრესს“ თბილისის მერიაში განუცხადეს, აქციაში მონაწილეობა ქართული ზოუ-ბიზნესის წარმომადგენლებმა მიიღეს.

რუსთავს ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეეწყვეტა

ბარზანის თბოელექტროსადგურმა გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო 4 დღის განმავლობაში ქალაქ რუსთავს ელექტროენერგიის მიწოდება შეეწყვეტა. ელექტროენერგიას მხოლოდ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები მიიღებენ. ამგვარ ობიექტთა ნუსხაში შედიან პურის ქარხნები, საავადმყოფოები, სასანძრო, მერია და პოლიცია.

უკანონო ჯიხურებს აიღებენ

თბილისს მერიის ადმინისტრაციული ინსპექციი ნავთლუღის ბაბრობისა და ვარკეთილის მეგროს მიმდებარე ტერიგორიიდან უკანონო ჯიხურებისა და დახლების აღებას გეგმავს. ამგამად აღნიშნული ტერიგორიების გაწმენდის გეგმა მუშავდება, რათა ამ სამუშაოებმა მოვაჭრეების მხრიდან წინააღმდეგობა არ გამოიწვიოს. ნავთლუღის ბაბრობაზე აღებული დახლების ადგილას კულტურული სავაგრო წერგილები მოეწყობა, ვარკეთილის მეგროში და მის მიმდებარე ტერიგორიაზე კი ვაჭრობა აიკრძალება.

დახმარებას ითხოვენ, მაგრამ...

ახალი სასწავლო წლისათვის სათანადოდ ვერ ემზადებიან მნაურის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, რომელთა დიდი ნაწილი ავარიულ მდგომარეობაშია და მიმდინარე რემონტს მოითხოვს, მაგრამ პაგრონი არავინ ჩანს.

როგორც ცნობილი გახდა, თვითგამოცხადებული ოსეთის რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ დახმარებისათვის რუსეთის მთავრობას მიმართა, მაგრამ მისგან პასუხი აქამდე არ ჩანს. სკოლები კი გადაუდებელ რემონტს საჭიროებს.

ინფორმაციისა მოგვაწოდეს: სამინფორმმა, „ინტერ-პრესმ“.

გვწერენ

მადლობა თანადგომისთვის

„საქართველოს ბანკის“ ტყიბელის ფილიალი დიდ დახმარებას უწევს ტყიბელის პურკომბინატს, რომელიც წლების განმავლობაში განიცდიდა ეკონომიკურ სიძნელეებს, რაც ნისიად გაცემული პურის ღირებულების ამოუღებლობამ გამოიწვია.

ამჟამად საწარმომ აღადგინა არსებობა „საქართველოს ბანკის“ პრეზიდენტის ბატონ ვლადიმერ პაგეიშვილის პირადი დახმარებით. სწორედ მისი უშუალო მითითებით გაიცა პურკომბინატზე კრედიტი, რისთვისაც კოლექტივის სახელით გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ, – ამბობს სს ტყიბელის პურკომბინატის დირექტორი ამირან მერკვილაძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

● ინდონეზიის პოლიციამ გაავრცელა ტერაქტის ორგანიზებაში ეჭვმიტანილი პირის ფოტორობოტი

● სადამ ჰუსეინს რამდენიმე ათეული ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე ეძებს

● ევროპაში პაპანაქება ხვატი გრძელდება

ჯაკარტაში სასტუმრო „მარიოტის“ აფეთქების მომენტი აღბეჭდა ვიდეოკამერამ

ინდონეზიის დედაქალაქში სამშაბათს ტერორისტი-კამიკაძის მიერ განხორციელებული აფეთქების შემდეგ, ისლანდიელი ვეშაპზე მონადირეები აგვისტომი განაახლებენ მზვის ამ ძუძუმწოვრებზე ნადირობას.

ინდონეზიის ყველა გაზეთმა ხუთშაბათს დაბეჭდა დაახლოებით 30 წლის მამაკაცის გამოსახულება, რომელიც, სავარაუდოდ, სამხრეთის სუმატის მკვიდრი უნდა იყოს. როგორც პოლიციამ გაარკვია, სწორედ მას ეკუთვნოდა ავტომანქანა, რომელიც ტერორისტული აქტის განხორციელებისათვის გამოიყენეს.

ეროვნული პოლიციის საგამოძიებო განყოფილების ხელმძღვანელმა გენერალ-ინსპექტორმა ე. მაპასინგმა აღნიშნა, რომ ავტომობილის ნამსხვრევების მესწავლის გზით, პოლიციამ შეძლო გასულიყო მანქანის ყოფილი მფლობელის კვალზე. ეს გახლავთ აღმოსავლეთ იავის ქალაქ ჩიბაებურში მცხოვრები ვინმე სონი. მან ორი კვირის წინათ გაყიდა მანქანა. მაგრამ, სონიმ, პოლიციელებს ვერ აცნობა ვერც ავტომანქანის მყიდველის ვინაობა და ვერც მისი მისამართი, შეძლო მხოლოდ ამ ადამიანის გარეგნობის აღწერა.

ცენტრალური გაზეთი „კომპასი“, ეროვნული პოლიციის სარდლის გენერალ დაი ბახთიარის გამონათქვამის დამოწმებით, ხუთშაბათს წერდა, რომ ასაფუთქებელ მოწყობილობას სასტუმრო „მარიოტის“ შენობაში ირგვლივ მემოუწყვეს საწვავით სავსე კანისტრები, რაც გახდა კიდეც იმის მიზეზი, რომ აფეთქების შედეგად გამოწვეული ხანძარი სასტუმროს შენობის მეზობლად მდებარე ნაგებობებსაც მოედო.

როგორც დაი ბახთიარი ამტკიცებს, თითქმის ერთი გონა ანალოგიური ასაფუთქებელი ნივთიერება პოლიციამ აღმოაჩინა იავლისში, როცა დააპატიმრეს საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციის „ჯემაა ისლამიის“ საქმიანობაში მონაწილეობისათვის ეჭვმიტანილი ცხრა პირი.

ამ ორგანიზაციას, როგორც ვარაუდობენ, ეკისრება პასუხისმგებლობა ბალის კუნძულზე განხორციელებული ტერორისტული აქტისათვის. პოლიცია ფიქრობს, რომ სასტუმრო „მარიოტში“ მომხდარი აფეთქებაც, ამ ორგანიზაციის წევრებმა განახორციელეს.

„ჯემაა ისლამია“ რადიკალური მუსლიმანური დაჯგუფებაა, რომელიც გაერომ მეიგანა საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციის სიაში. მისი წევრები იბრძვიან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ისლამური სახელმწიფოს შექმნისათვის, რომელმაც უნდა მოიცვას თანამედროვე მალაზიის, სინგაპურის, ინდონეზიის, ბრუნეის ტერიტორიები და ფილიპინის არქიპელაგის ნაწილი.

ხუთშაბათს ინდონეზიის სასამართლომ უნდა გამოუტანოს განაჩენი ბალის კუნძულზე გასულ წელს მომხდარი აფეთქების ორგანიზებაში ერთ-ერთი მთავარ ეჭვმიტანილ პირს.

ამრომი ბინ ნურპასიიბს, კერძოდ, ბრალად ედება ტერორისტული აქტის მომზადება და განხორციელება, რომელსაც ემსხვერპლა 200-ზე მეტი კაცი. ძირითადად, უცხოელები. თუ ამრომის დამტკიცდება ბრალეულობა, მას დახვრეტა ელის.

როგორც პოლიციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, ამრომი აღიარა ასაფუთქებელი მოწყობილობისა და მიკროავტობუსის ყიდვის ფაქტი, რომლებიც გამოიყენეს აფეთქების მოსაწყობად. მაგრამ ბრალდებული აცხადებს, რომ არ არის ადგილობრივი ისლამისტური დაჯგუფების „ჯემაა ისლამიის“ წევრობის, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, დაკავშირებულია „ალ-ყაიდას“ ტერორისტულ ორგანიზაციასთან.

ერაყში დააკავეს ყოფილი პრეზიდენტის ოთხი მომხრე

ოთხშაბათს დამით ერაყის ქალაქ თიქრითში განხორციელებული რვიდის დროს ამერიკელმა ჯარისკაცებმა დაკავეს სადამ ჰუსეინის ოთხი მომხრე. ეს პირები ეჭვმიტანილი არიან მოთარეშეებთან კავშირში, რომლებიც აბორიელებენ თავდასხმებს ამერიკელ ჯარისკაცებზე.

ორი დაკავებული სადამის ყოფილი გენერალია, მესამე დაპატიმრებული კი – მეგსახელად „კლდე“ – არის ერაყელ ფედაინთა ერთ-ერთი ლიდერი. არის ეჭვი, რომ სწორედ იგი აფინანსებს თავდასხმებს ამერიკელთა ჯარებზე სადამ ჰუსეინის მშობლიურ ქალაქ თიქრითსა და მის გარეუბნებში.

ამ დაპატიმრებულთა გარდა, ამერიკელებმა კიდევ დაჰკითხეს 39 ადგილობრივი მცხოვრები, რომლებიც მალე გაათავისუფლეს.

რვიდის დროს მგურჩით აიღეს ქალაქის ერთ-ერთი სასტუმროს შენობა და ამ მიზნით გამოიყენეს „აპაჩის“ გიპის საბრძოლო ვერტმფრენები.

ჰუსეინზე „ნადირობამი“, რომელიც ამერიკელთა დამკვერვის მონაცემებით ქალაქ თიქრითის მიდამოებში უნდა იმყოფებოდეს, მონაწილეობს რამდენიმე ათეული ათასი სამხედრო მოსამსახურე.

როგორც ამერიკელი სამხედროები აცხადებენ, ყოფილ პრეზიდენტისადმი ღიობალურად განწყობილი ძალები გაქტიურდნენ ბაგდადის, თიქრითისა და ქირკუკის რაიონებში, ეს ტერიტორია თითქმის ირანის საზღვრამდეა გადაჭიმული.

ბაღდადში, იორდანიის ხაელჩოს შენობის წინ აფეთქდა ბომბი

აფეთქების შედეგად რამდენიმე კაცი დაშავდა. ჯერჯერობით არავერს იტყობინებიან დაშავებულთა შუსტი რიცხვისა და აფეთქების ძალის შესახებ.

ამ ბოლო ხანებში ერაყში პარტიზანების თავდასხმათა მსხვერპლნი სულ უფრო ხშირად ხდებიან არა მარტო ამერიკის მეერთებული შტატების არმიის ჯარისკაცები, არამედ დიპლომატიური და ჰუმანიტარული ორგანიზაციების თანამშრომლებიც.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა დახურეს თავიანთი წარმომადგენლობები და მეწყვიტეს საქმიანობა ჩრდილოეთ ერაყის ქალაქ მოსულში, წერს გაზეთი „ამარქ ალ-ავსათი“. ასეთი გადაწყვეტილების მიღება განპირობებულია უმიზროების უმრუნველყოფის მიზნით.

ოუნსეფმა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რომლებიც ჰუმანიტარულ მისიას ახორციელებენ მოსულში, გამოიხმეს თავიანთი პერსონალი ბაღდადში და დახურეს წარმომადგენლობა მას შემდეგ, რაც ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრებზე განხორციელდა რამდენიმე თავდასხმა.

გაეროს მისიამ ერაყის დედაქალაქში, აგრეთვე, აუკრძალა თავის თანამშრომლებს მოსულში ჩასვლა.

ისლანდიაში განახლდება ვეშაპებზე ნადირობა

ისლანდიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ 14 წლის შესვენების შემდეგ, ისლანდიელი ვეშაპზე მონადირეები აგვისტოში განაახლებენ მზვის ამ ძუძუმწოვრებზე ნადირობას.

ასეთმა განცხადებამ გამოიწვია მკაცრი კრიტიკა გარეშოს დამცველთა მხრიდან, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ ეს მიაყენებს მიანს ისლანდიაში ტურიზმის ინდუსტრიას.

თავდაპირველად ისლანდია არ აპირებდა შეერთებოდა 1986 წელს გამოცხადებულ საყოველთაო მონაგორიუმს.

1989 წელს მკაცრი საერთო შემოქმედების შემდეგ, ისლანდია დთანხმდა ვეშაპებზე ნადირობის შეწყვეტას. მაგრამ ამ ცოტა ხნის წინათ ისლანდიამ არაორაზროვნად აღნიშნა, რომ იაპონიის მსგავსად, განაახლებს წყლის ძუძუმწოვრებზე ნადირობის შემნელელი მასშტაბით „სამეცნიერო მიზნებისათვის“. გარეშოს დამცველები ასეთ გაქტიკას მორგატორიუმისათვის გვერდის აყენის მცდელობად მიიჩნევენ.

ოთხშაბათ ისლანდიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ სექტემბრის დამლევამდე პერიოდში მოკლავენ 38 ვეშაპს ნაწილობრივ იმისთვის, რომ მეისწავლონ, თუ რა გავლენას ახდენენ მზვის ეს მგიტელები სარეწაო თევზის მარაგზე.

სახელმწიფო მოხელეები ირწმუნებიან, რომ ვეშაპებზე ნადირობის ასეთი შემლუდვა არანაირ გავლენას არ მოახდენს მათს სულადობაზე.

მაგრამ, როგორც ცხოველთა დაცვის საერთაშორისო ფონდის წარმომადგენელმა დენ გრინმა თქვა, ასეთმა პრაქტიკამ, შესაძლოა გამოიწვიოს ის, რომ მსოფლიოში გამოუცხადონ ბოიკოტი ისლანდიური წარმოების თევზის პროდუქტს, რაც მიაყენებს მიანს კუნძულის ეკონომიკას.

ასეთ მეშფოთებს ისლანდიის ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებიც იზიარებენ.

შაბლ „კოლუმბიის“ კატასტროფის შედეგად დაღუპული ასტრონავტების სახელები უწოდეს 7 ასტეროიდს

ამერიკელი კოსმოსური ხომალდის „კოლუმბიის“ 1 თებერვალს მომხდარი კატასტროფის შედეგად დაღუპულ ასტრონავტთა სახელები შეარქვეს შვიდ ასტეროიდს, რომელთა მზისორგვლივ მოძრაობის ტრაექტორიები მარსისა და იუპიტერის ორბიტებს შორის გადის.

ეს განაცხადეს ოთხშაბათს სმიტსონის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მცირე პლანეტათა ცენტრის თანამშრომლებმა.

როგორც მათ თქვეს, ასტროიდებისათვის რიკ ჰაზბენდის, უილიამ მაკქულის, მაიკლ ანდერსონის, კალპანა ჩალვას, დევიდ ბრაუნის, ლორელ კლარკის და ილან რამონის სახელების შერქმევის ინიციატორა ეკუთვნოდა პასადენის (კალიფორნიის შტატი) რეაქტიული მოძრაობის ლაბორატორიის შუშკეს, რომელიც შედის ნასას სტრუქტურაში. წინადადებას მხარი დაუჭირა ასტრონომთა საერთაშორისო კავშირმა.

ასტეროიდები, რომლებსაც შატლ „კოლუმბიის“ ეკიპაჟის წევრთა სახელები უწოდეს, აღმოაჩინა ლაბორატორიის ყოფილმა მეცნიერმა-მუშაკმა ელინორ პელინმა 2001 წელს სან-დიეგოს მახლობლად მდებარე პალომარის ობსერვატორიაში. მმის სისტემის ამ სხეულების დიამეტრი 4,9-6,9 კილომეტრია.

სიცხით გამოწვეულმა ხანძრებმა სულ ცოტა 30 კაცი იმსხვერპლა

ევროპაში კვლავ პაპანაქება სიცხეა, რის შედეგადაც გახშირდა ტყის ხანძრები.

პორტუგალიაში, სადაც ასეთი მძლავრი ხანძრები უკვე კარგა ხანია აღარ ახსოვთ, სტიქიამ 14 კაცი იმსხვერპლა. როგორც აღგილობრივი მეხანძრეები აცხადებენ, ისინი თანდათანობით ახერხებენ იმას, რომ აღარ დაუშვან ცეცხლის შემდგომი გავრცელება.

მეტეოროლოგთა პროგნოზით, პაერის ასეთი ტემპერატურა – 40 გრადუსი ცელსიუსით – ქვეყანაში მომავალი კვირის დამდეგამდე იქნება შენარჩუნებული. ამ კვირაში კი თერმომეტრის სვეტმა, შესაძლოა, 42 გრადუსსაც მიაღწიოს.

პორტუგალიის მთავრობამ სთხოვა ნატოს ხანძრის წინააღმდეგ საბრძოლველად ვერტმფრენებისა და საჭირო მოწყობილობების გამოყოფა, თუმცა, ფრანს პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში ალაინსის პრესმდივანმა ივ ბროდომ აღნიშნა, რომ ნატო, ალბათ, ვერ შეძლებს ლისაბონისათვის დახმარების გაწევას.

„ასეთი მოწყობილობა მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას თუ აქვს ევროპაში, მაგრამ ახლა მათ ეს თვითონ სჭირდებათ“, – თქვა ბროდომ.

მეზობელ ესპანეთში, კერძოდ, სევილიასა და კორდობაში პაერის გემპერატურა 41 გრადუსს აღწევს. იქ სამი ხანდამშლი მანდილოსანი გარდაიცვალა.

სლოვენიასა და იტალიაში ასეთი სიცხე მხოლოდ 100 წლის წინათ იყო დაფიქსირებული, გერმანიაში კი ოთხშაბათი ღამე გამოდგა ყველაზე ცხელი ამინდზე დაკვირვებული მთელი ისტორიის მანძილზე.

ლონდონში პაერის ტემპერატურა 35,3 გრადუსი იყო. ბრიტანეთის დედაქალაქში სიცხის გამო დახურეს ცნობილი ატრაქციონი „ლონდონის თვალი“.

უცხოეთის საგარეგნოებისა და ქორნილ-გამეთების მიხედვით მოამზადა
ზაზა ბერეანიძემ.

მიწა კი იძრა, მაგრამ... ჩვენც ხომ უნდა გავინძრეთ!

ამ შენობაში ყველაზე მსუბუქი საბალეტო მოძრაობის შესრულება, ორ ან სამგალიან მიწისძვრას უგოლდება!..

დღეს ბევრს საუბრობენ ერთადერთი ქორეოგრაფიული სასწავლებლის კაკასტროფულ ვითარებაზე, პრობლემათა გადაჭრის ხელშემშლელ ფაქტორებზე, მაკონტროლებელი და აღმასრულებელი სტრუქტურების უყურადღებობაზე... ფაქტია, რომ რეალური შედეგები ყოვნდება, სამომავლო მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება, რთულდება... სარეპეტიციო დარბაზებში ბზარი ბზარს ემატება, არაერთი ნაპრალი ჩნდება, ჭერი ინგრევა... ან, ყველაზე მსუბუქი საბალეტო მოძრაობის შესრულება, ორ ან სამბალიან მიწისძვრას უგოლდება! არსებული სიტუაცია წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემების ლოგიკური შედეგია, ტრაფარეტული ლოზუნგებით გამოსვლა და საჭირბოროტო საკითხებზე უშედეგო მსჯელობა კი დღევანდელობის სტილია, რაც მომბეზრებელი ხდება და მენტორულ შეგონებად მოისაზრება.

განაგრძობს კი სამომავლოდ საბალეტო ხელოვნება არსებობას? – საღლეისოდ, აქტუალურად ამოგიგებივებული, გაუხუნარი, რიგორიკული შეკითხვა, რომელიც ლამის ბედისწერად ექცათ ნორჩ მოცეკვავეებს... – მტკივნეული შეკითხვა, რომელიც ესოდენ აწვალებთ, აწუხებთ და გვინს უღრღნით ბალეტის მოყვარულებს... – რიგორიკული შეკითხვა თუ ამჯერად გამოგანილი განაჩენი, რომელიც საბოლოო დამნაშავედ ჩვენს უნიათობასა და უყურადღებობას ასახელებს!..

– „მიწისძვრის შემდეგ ქორეოგრაფიული სასწავლებლის შენობის ავარიულობისა და დაბიანების ხარისხი კატეგორიების მიხედვით დაადგინეს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტმა, მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროსა და ქალაქის მერიის სამსახურის სპეციალურმა კომისიებმა. ამ მხრივ მდგომარეობა, მართლაც, ძალზე საგანგაშო და საკვალალო. კულტურის სამინისტრო ყველა შემდგომ ორგანოსა თუ უწყებას მიმართავდა დასახმარებლად და თამამ ვაშაკიძესთან (ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორი) ერთად ითხოვდა მათგან რეაგირებას, რათა გადაგვერჩინა ერთადერთი ქორეოგრაფიული სასწავლებელი. არ დაგვიგიგვებია არც ერთი ინსტანცია... არართხელ გაიმართა ამის თაობაზე მოლაპარაკებები, მაგრამ... ჩვენი ძალისხმევით ქორეოგრაფიული სასწავლებელი შესულია ყველა იმ რეესტრში, სადაც კი მიწისძვრით დაზარალებული ობიექტებია მოხსენიებული, – მეკაუბრება სახელოვნებო განათლების დეპარტამენტის დირექტორი ლია ბუაძე, – სამწუხაროდ, უკვე ერთი წელია ქორეოგრაფიული სასწავლებელი საკუთარ შენობაში ვერ მუშაობს. კარგი იქნებოდა, სპეციალიზებული დისციპლინები და ზოგადი საგნები ჩაგარებულიყო ერთ დაწესებულებაში, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. აქამდე სწავლების პროცესი საკმაოდ მძიმედ მიმდინარეობდა, ბავშვები გადანაწილებულნი, გაფანტულნი იყვნენ ოპერის თეატრის, სულერინები ფუხუბეზე პუანტების მხოლოდ ერთი საათით ირგებდნენ და კლასიკაში მხოლოდ ერთი საათით ვარჯიშობდნენ. სპეციალიზებული დისციპლინების გვერდით, არასახარბიელო პირობების გათვალისწინებით, ქორეოგრაფიულს 300 მოსწავლეს სკოლის გაკვეთილები სასწავლებლის გადაკეთებულ ყოფილ საწყობში უგარდებოდათ. გასაკვირია, მაგრამ გაუსაძლისი ვითარების გამო, წლეულს მაინც შესაძლებელი გახდა ჩაგარებულიყო მისაღები გამოცდები.

„ – შარშან, ავარიული შენობის სართულის მარცხენა ფლიგელი გამოვიყენეთ კლასებად, ზოგადი დისციპლინებისათვის, მაგრამ ახლახან ისიც ძალიან დაბიანდა – დიდი წვიმების შედეგად სახურავში წყალმა გაჟონა და ჭერი განადგურდა, ნაწილობრივ ჩამოიქცა კიდეც. ამის შეკეთება 1 სექტემბრამდე აუცილებელია, რათა როგორმე სწავლა დავიწყოთ. შედა სართულებზე ისევ კაკასტროფული მდგომარეობაა. ამიგომაც ძალიან საშიშია იქ ბავშვების ყოფნა. არავინაა დაზღვეული უბედურებისგან, არავინ იცის, რა წამს მოხდება ფატერაკი. ჯერ კიდევ მიწისძვრამდე იყო ეს შენობა ავარიული, დარბაზებში მეცადინეობისას ერთიანად ბაზბარებდა აქაურობა, რადგანაც დაგვრთვა გადადის მთლიანად შენობაზე... ერთადერთი ქორეოგრაფიული სასწავლებელი არსებობს და, მის გადარჩენაზე ამდენი ლაპარაკი არ უნდა გვჭირდებოდეს, სირცხვილია... სწავლების პროცესის დაწყებას რომ ვაპირებთ და არა შეწყვეტას, ესეც გასაკვირია“. – ამბობს ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორი თენგიზ ვაშაკიძე.

აქამდე ქორეოგრაფიული სასწავლებლის დანგრეული კედლები რესტავრაციას იმ დოკუმენტის საფუძველზე ელოდა, რომელიც მსოფლიო ბანკისგან 20 მილიონიანი პროექტის მიხედვით, მიწისძვრით დაზარალებული სკოლების რეაბილიტაციას ითვალისწინებდა. თუმცა ეს თანხაც იმ შემთხვევაში გადმოირიცხებოდა, თუკი საქართველოს პარლამენტი აღიარებდა ამ პროექტის რაგიფიკაციებს.

ახლახან, მიწისძვრიდან წელიწადნახევრის გასვლის შემდეგ, საქართველოს პარლამენტში მსოფლიო ბანკის პროექტის რაგიფიცირებას მხარს უჭერენ, მაგრამ ამ შემთხვევაში, მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) სარეაბილიტაციო პროექტი მიწისძვრით დაზარალებული მცირემასშტაბიანი ობიექტებისთვის, კერძოდ, სკოლებისთვის, უკვე არა 20 მილიონ დოლარს, არამედ მხოლოდ 5 მილიონ დოლარს ითვალისწინებს (!)

– „საქართველოს მთავრობამ და მსოფლიო ბანკმა 5-მილიონიანი სარეაბილიტაციო პროექტის განსახორციელებლად შეარჩიეს მიწისძვრით დაზარალებული სკოლების პრიორიტეტების მიხედვით – სულ 29 ობიექტი. დაბიანების კატეგორიების შეფარდებით შედგა პირველი, მეორე და მესამე ათეული. ამჟამად, ქორეოგრაფიული სასწავლებელი მე-15 ადგილზე აღმოჩნდა! დაახლოებით ერთ კვირაში დაიწყება აღნიშნული პროექტის ამოქმედება და სავარაუდოდ, თანხები მსოფლიო ბანკიდან სექტემბერ-ოქტომბერში თანდათანობით, ანუ რიგრიგობით გადმოირიცხებოდა. ამ დაფინანსებაში შედის სამშენებლო პროექტირებისა და გარკვეული სამშენებლო სამუშაოების ღირებულებაც“ – აღნიშნავს საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე შალვა კოკოზაშვილი.

– „რაც მიწისძვრა მოხდა, იმ ღღიდან კულტურის სამინისტროო ყველა მთავრობის სხდომასა თუ თათბირზე თანადგომისა და დახმარების მიზნით, ერთმნიშვნელოვნად ამახვილებდა ყურადღებას ქორეოგრაფიული სასწავლებლის საკადღებულო რეკონსტრუქციის შესახებ. კულტურის სფეროდან, ეს ერთადერთი სასწავლებელია, რომელიც მიწისძვრით დაზარალებულთა ყველა რეესტრშია მოხსენებული. რადგანაც საქართველოს პარლამენტმა მსოფლიო ბანკის პროექტის რაგიფიკაციაჰყო, ეს უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია, აწი, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თანხები ნელ-ნელა გადმოირიცხება. მიუხედავად ამ სასიამოვნო სიახლისა, მაინც დიდი სიფრთხილე და ყურადღებაა საჭირო, რათა დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ, შედმეწევნით ვიმრუნოთ ქორეოგრაფიული სასწავლებლების გადასარჩენად. სანამ თანხები გადმოირიცხება და სანამ ამ ავარიული შენობის რეაბილიტაცია დაიწყება, მანამდე გვინდა დასახმარებლად პრეზიდენტს მივმართოთ, იქნებ, მისიეე ფონდიდან გამოიყოს თანხები, რათა წვიმების შედეგად დაბიანებული საკლასო ოთახები შევაკეთოთ და პირველ სექტემბერს სწავლა დავიწყოთ“, – ამბობს კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე.

მზეხა მახარაძე.

სურათებზე: ასე გამოიყურება დღეს ქორეოგრაფიული სასწავლებლის სასწავლო დარბაზები.

თეო ნიკოლაიშვილის ფოტო.



რა არ ხდება...

ბილ კლინტონს აღმინისტრაციის არსებობის ბოლო დღეებში ამერიკის პრეზიდენტმა საიდუმლოდ მიიწვია ვაშინგტონში კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერი კიმ ჩენ ირი. კლინტონს იმედი ჰქონდა, რომ კიდევ უფრო განამტკიცებდა იმ პროგრესს, რომელსაც ქვეყნებმა მიაღწიეს ერთმანეთის მიმართ მტრული დამოკიდებულების შერბილების სფეროში. მაგრამ, კიმ ჩენ ირმა უარი თქვა ვაშინგტონში გამგზავრებაზე.

* * *

პალესტინის პრემიერი მოგზაურობს სპარსეთის ყურის ქვეყნებში. გუშინს ფარეულებში მაპმუდ აბასი ეწვევა ქუვეითს. ამ ქვეყანასა და პალესტინის ავტონომიას შორის ურთიერთობის პრაქტიკულად სრული გაყინვის შემდეგ, ეს გახდება პალესტინის ხელმძღვანელობის ასეთი მაღალი რანგის წარმომადგენლის პირველი ოფიციალური ვიზიტი ქუვეითში.

* * *

ბაშკორტოსტანის რუსეთის რვავე მოქალაქის გვარები, რომლებიც დატყვევებული ჰყავთ ამერიკის შეერთებულ შტატებში გუანტანამოს ბაზაში. რუსეთი დაკონებით მოითხოვს მათ ექსტრადიციას, მაგრამ ორი პატიმრის დედა კატეგორიულად ილაშქრებს რუსეთის მხარისათვის მათი შვილების გადაცემის წინააღმდეგ. როგორც ერთ-ერთი პატიმრის დედა ამინა პასანოვა აღნიშნავს, მისი ვაჟის მიერ გამოგზავნილი წერილებიდან ჩანს, რომ იგი გუანტანამოში თავს გაციელებით უკეთ გრძნობს, ვიდრე საკუთარ რუსულ სანატორიუმში.

* * *

ერაყელებმა დარწმუნებული არიან, რომ ამერიკელ ჯარისკაცებს აქვთ რენტგენული სათვალეები, რომელთა მეშვეობითაც „შიშველად“ ათვალიერებენ ერაყელ ქალებს. გარდა ამისა, მათი აზრით, ჯარისკაცები იდებენ სპეციალურ ბებს, რომლებიც აბრალებს მათ ორგანიზმს. გვერეელდა, აბრეთვე, ხმები, რომ ამერიკელ ჯარისკაცებს ჩამონგაკეთული აქვთ პორტატული კონდიციონერები სამხედრო სურთუკებში, ჩაფუხუტებსა და საცვლებშიც კი.

* * *

ბაზელ საუკუნის 40-იანი წლების დამლევს ციმბირში 575 ათასი იაპონელი სამხედრო ტყვე ჰყავდათ, რომელთაგანაც 55 ათასი დაიღუპა, რადგან მათ ვერ გაუძლეს შიმშილს, სიცივეს და შრომის უმძიმეს პირობებს. უკვე 50 წელზე მეტია, რაც ყოფილი სამხედრო ტყვეები მოითხოვენ, რომ იაპონიის მთავრობამ აუნაზღაუროს მათ სიბეჭოთა ბანაკებში უმძიმესი შრომის საფასური.

* * *

ბერმანეთში გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ, მწვავე შეგრძნებათა მოყვარულები შეძლებენ საკუთარ თავზე გამოსცადონ უწონობის მდგომარეობა. საგანგებოდ ტერმანული ფირმა რუს პარტნიორებთან ერთად განახორციელებს სპეციალურ ფრენას ილ-76 მარკის თვითმფრინავით.

* * *

მძლავრი გიგანტი დაბაგდა თავს იაპონიის სამხრეთ ნაწილს. კოკისპირული წვიმა და გრიგალისებური ქარი, რომლის სიმაღლე წამში 25 მეტრს აღემატებოდა, აქნევდა ხეებსა და გლეჯდა ელექტროგადამცემ ხაზებს, იაპონიის მდგომარეობა გაიფუნმა გამოიწვია შტორმი, იქ გაღლების სიმაღლე 8 მეტრს აღწევდა. იაპონიის სამხრეთ ნაწილში გადაიდო სამანამდე ავიარეისი, მთლიანად შეწყდა სამოგზაურიანი ავტობუსებისა და საშვეაო გრანსპორტის მოძრაობა. სტიქიის შედეგად 7 კაცი დაშავდა, 60 ათასზე მეტი სახლი კი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა.



საქართველოს რესპუბლიკა
№ 209. პარასკევი, 8 აგვისტო, 2003 წელი.

სიტუაცია

რიცა სასამართლოს სამართლიანი გადაწყვეტილებისა არ სჯერათ

გაღმა შედავების პოლიტიკა ყოველთვის როდია მომგებიანი

სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არიან გარკვეული კატეგორიის ადამიანები, რომლებიც აკეთებენ აბრის გამო სასამართლოს მიერ გამოტანილ ყოველგვარ ობიექტურ გადაწყვეტილებას უსიტყვოდ, მაგრამ მაინც სმალშემართულნი ებრძვიან.

სწორედ ასეთი, გაღმა შედავების პოლიტიკა ირჩიეს ვითომდა თავიანთი „სიმართლის“ დასამტკიცებლად ჩვენი დღევანდელი წერილის გმირებმა, რომლებიც წლების მანძილზე ყოველგვარი მიუღებელი სურხით ცდილობენ კანონიერი შეპატიჟონის ბინიდან გამოსახლებას და მის დაპატიჟონებას, მაგრამ...

ნაოქმამია, მიმს დიდი თვალები აქვსო. სწორედ ამ შიმმა (აღნიშნულ შემთხვევაში ეს მიმი ნამდვილად უსაფუძვლო მეჩვენება – თ. კ.) და იმან, რომ მოულოდნელობისგან არავინ არის დაბოლოებული, გადაწყვეტინა ლეკვან ფურცხვანიძეს მოემართა ჩვენი გამეთისთვის, რადგან როგორც იგი გეწერს, არ სურს, უნებაესი სამართლიანობა მისთვის უნენაეს უსამართლობად იქნეს.

საქმის ვითარება კი ასეთია: „თბილისის სათლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოგრების საქმეთა პალატამ 2002 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაკაამაყოფილა ლეკვან ფურცხვანიძის სააპელაციო სარჩელი, რომლის ძალითაც თამაზ, ნანა, ნიკოლომ ბოდოკიები, მადონა მუმკუდიანი და ნაგო კუჭავა გამოსახლებულ იქნენ თბილისმი, გოგუბაშვილის მეორე შესახვევის №9-მი მდებარე ლ. ფურცხვანიძის საკუთრებაში არსებული ბინიდან და იგი გამოთავისუფლებულ მდგომარეობაში ჩაბარდეს მოსარჩელეს“.

ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მეორე მხარემ ამჯერად საკასაციო საჩივრით უმნეაეს სასამართლოს მიმართა, რომლითაც თამაზ და ნანა ბოდოკიები, მადონა მუმკუდიანი ითხოვენ ზემოთ აღნიმნული განჩინების გაუქმებას, რაც მათ, რაგომდაც ტენდენციურად და უსაფუძვლოდ მიაჩნიათ.

უფრო აღრე კი მათ, ასევე მიკერძოების გამო ცილი დასწამეს უმენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოგრების საქმეთა პალაგის მოსამართლეებს ქ. გაბელაიას, ბ. ხიმმიაშვილს და თ. კობახიძეს. თავის დრმზე ამ საქმის გამო, არც სოოლქო სასამართლოს მოსამართლე მ. თოდუა დაინდეს.

თუ ამ მხრივ მოძალაღე მომჩივნების მოსამრებებს გავიზიარებთ, გამოდის, რომ მთელი სასამართლო სისტემა მათ წინააღმდეგაა აბზღერებული და... სინამდვილეში კი საქმე პირიქითაა. ისინი დღემდე წყალწაღებულებაივთ ხავსს ეჭიდებიან და თავიანთი ყოოლად არაარგუმენტირებული და დასაბაუთებელი საჩივრებით ცდილობენ, რადაც უნდა დაუჯდეთ, მართლმსაჯულებას თავიანთი უკანონო მოთხოვნა კანონიერად წარმოუჩინონ და ამით ლ. ფურცხვანიძის ბინაზე (რომლის ირგვლივ დავა მათ მორის აგერ უკვე 14 წელიწადია გრძელდება) უსაფუძვლო პრეტენზიას აცხადებენ.

თუმც მათი ეს ახირება მართლმსაჯულებს რომ ყოველთვის ყოველგვარ პრეტენზიას მოკლებულად მიაჩნიათ, ამას თავიანთი საკასაციო საჩივარში თავადვე არ უარყოფენ. ბი, რას წერენ ისინი: ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე, რომელიც მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში გამართა 2000 წლის 22 ნოემბერს, სადაც ლეკან ფურცხვანიძე ჩვენს გამოსახლებას მოითხოვდა (რაც სასამართლომ მაშინ არ დაკაკმაყოფილა). თუმცა ამავე გადაწყვეტილებით ჩვენც უარი ეკეიქვა ფართის მესაკუთრედ ცნობაზე (აღნიშნული ბინა რომ სინამდვილეში ლ. ფურცხვანიძეს ეკუთვნის, ამას ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში დაცული მასალებიც მოწმობს).

ყოველივე ამის შემდეგ კი, მართლაც ძნელი წარმოსადგენია, თუ რა პრეტენზია უნდა პქონდეთ მათ ამ შემთხვევაში ლეკან ფურცხვანიძის მიმართ. თუმც აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მოწინააღმდეგე მხარეს პრეტენზიები არ ელევა და...

სასამართლო ინსტანციებში ამ საქმის დაუსრულებელი განხილვებით დაოსებული ლეკან ფურცხვანიძე კვლავ მაინც ოპტიმისტურ განწყობილებას ინარჩუნებს და მთელი ამ თავსგადახდილი თოთხმეტწლიანი ისტორიის მიუხედავად, სჯერა, სანთელ-საკმეველი თავის გმას არ დაკარგავს და უსამართლობა სამართლიანობაზე ვერ გაიმარჯვებს.

თეიმურაზ კინწურაშვილი.

ქ. თბილისის 2003 წლის ბიუჯეტის სახსრებით მუნიციპალური ჯანდაცვის პროგრამების განხორციელებაზე ინტელექტუალური ორეტაპიანი ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური ქ. თბილისის სამსახური აცხადებს ინტელექტუალურ შესყიდვაზე ორეტაპიან ღია ტენდერს საქალაქო პროგრამით გათვალისწინებული „ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პროგრამის“ განხორციელებაზე:

— პროსტატის კიბოს სკრინინგი.

პროგრამა ითვალისწინებს არანაკლებ 480 უროლოგის კონსულტაციას, 480 მამაკაცის პსპ ტესტირებას, 200 HPV და ქლამიდიოზის ტესტირებას, 100 პროსტატის ბიოფსიას, 100 ბიოპტატის ჰისტოლოგიურ გამოკვლევას.

მომსახურების მოწოდების ვადა განსაზღვრება 2004 წლის 1 იანვრამდე.

ტენდერში მონაწილეობის უფლება აქვთ ქ. თბილისში რეგისტრირებულ შესაბამისი ლიცენზიის მქონე ორგანიზაციებს.

განმცხადებლის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე 2003 წლის 22 აგვისტოდან 2 სექტემბრის 17 საათამდე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა მეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას ყველა მონაწილისათვის:

— განსაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ და ორგანიზაციის საბანკო რეკვიზიტები;

— იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი;

— სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის ცნობა (სასამართლოს გადაწყვეტილება);

— ნოტარიულად დამოწმებული წესდება;

— მესაბამისი საქმიანობის ლიცენზიის ასლი ნოტარიულად დამოწმებული;

— ინფორმაცია მისი ბოგადი და სპეციფიკური გამოცდილების შესახებ;

— ინფორმაცია ტენდერში მონაწილეობის მსურველთა პროფესიონალური და ტექნიკური კვალიფიკაციის შესახებ;

— ინფორმაცია მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

— ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ განცხადების წარდგენის მომენტისათვის;

— მისი ფინანსური მდგომარეობის ანალიზი ბოლო 3 წლის განმავლობაში (საგადასახადო ინსპექციის მიერ დამტკიცებული ბალანსების ჩათვლით);

— 2003 წლის 30 აპრილის მდგომარეობით შედარების აქვი საგადასახადო ინსპექციასთან საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდებთან დავალიანების შესახებ;

შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტი იურიდიული პირის საკვალიფიკაციო მონაცემები ასევე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მონაცემებს:

— ცნობა ნოგარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

— ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ ხორცეულდება ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია და სხვა ორგანიზაციებთან შერწყმა;

— ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოგრების ან სანაციის საქმის წარმოება;

— ცნობა მსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი პირები უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

— ცნობა, რომ ორგანიზაციისადმი და მისი ხელმძღვანელისადმი არ მიმდინარეობს სასამართლო დავა.

შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტი ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

— უნდა იყოს ქმედითუნარიანი;

— მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოგრების საქმის წარმოება;

— უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

— ცნობა ქონებრივი უმრუნველყოფის შესახებ;

საკვალიფიკაციო მონაცემებს თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციების ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას პირველადი საგენდერო წინადადება ღირებულების გარეშე. პირველადი საგენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე, დალუქულ კონვერტში უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული. პირველადი საგენდერო წინადადების შეფასებისას მხედველობაში მიიღება ტენდერში მონაწილეობის მსურველთა: მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საშეცნორო პროგრამების შესრულებაზე ხარისხის მაკონტროლებელი ორგანოს მიერ შედგენილი აქტის ასლი.

მსურველი ვერ გაიკლის საკვალიფიკაციო მერჩევას, თუ იგი არ წარმოადგენს განცხადებაში მოყვანილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი/ან არ შეესაბამება სინამდვილეს. ამასთან, ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი უნდა იყოს დამოწმებული ტენდერში მონაწილის ხელმოწერითა და ბეჭდით.

ალგერნატიული წინადადება არ მიიღება.

საკვალიფიკაციო მერჩევის შედეგად დამტკიცდება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა სია.

ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი გამარჯვეული.

ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვეულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიმმი.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ საგენდერო კომისიის აპარატს, ტექნიკი მითითებულ მისამართზე: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №29ა, IV სართული, ტელ: 37-78-01; 37-78-09; 37-72-91; 37-70-96 (საკვალიფიკაციო მონაცემები მიიღება ამავე მისამართზე).

საგენდერო კომისიის თავჯდომარე.
საგენდერო კომისიის აპარატი.

პარასკევი
8 აგვისტო

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" **10.10** მხ. ფილმი **"დანაშაულის მანდატორია"** **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი **"ეფემერა"** **13.05** დოკ. სერიალი "ცეკვის ისტორია" **14.00** სერიალი **"ქვიარუსის მარიანა"** **15.15** მხ. ფილმი **"ხუნამი"** **17.00** კონცერტი (ნ. გაბუნია, ვოკ. სტუდიის აღსაზრდელები) **17.20 50-50 18.00** "ვეფხვიერი" **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.35** ბასტი-ბუტუ **18.55** პალიტრა **19.25** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.00** მაგიტრონი **21.15** ტელესერიალი **"ეფემერა"** **22.05** მრავალსახეობა **22.35** ტელესერიალი **"ქალის ფიწლ"** **23.00** "რა ხდება ?!" **00.00** მხ. ფილმი **"ხარელიანი ბუნება"**

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.40** მხ. ფილმი **"ამუნიციელი"** **21.00** საქართველო არის ესე **21.30** აფხაზეთის ტელევიზია **22.10** მხ. ფილმი **"ბალანსირული"**

08.00 კლასიკა **08.25** სერიალი "კომპიუტერული ომები" **08.50** სერიალი **"ბრმა სოფლის ოფიციანტანაელი"** **09.40** სერიალი **"ანგელ ბეიფლ"** **10.30** დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" **11.10** სერიალი **"ბუნი ბუნა"** **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი **"ბოლოდროინდელი ამბები"** **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი **"ანგელ ბეიფლ"** **18.00, 21.00, 03.10** კურიერი **18.20** სერიალი "კომპიუტერული ომები" **18.50** სერიალი **"ბუნი ბუნა"** **19.40** სერიალი **"ბოლოდროინდელი ამბები"** **22.00** სერიალი **"ოფიციანტის ანგელი"** **22.50** ღამის კურიერი **00.10** მხ.ფილმი **"ბაფი ბეფლი"**. მთ. რ-ში: მელ გიბსონი, სოფი მარსო. **03.30** მხ.ფილმი **"ამერიკული ხალხა"**. მთ. რ-ში: ლარა ფრინ ბოილი, ჯეიმს სპეიდერი.

08.00 ანონსი, აღსავალი **08.05** დილიერი **10.30** მხ. ფილმი **"ბოლოს ბოლოს ბოლოს"** **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი **17.20, 17.50, 21.55, 23.30** მუსიკა **17.30** დოკ. სერიალი **18.45, 19.45** მუსიკა **20.00** მიუზიკლი **22.00** დილიერი **00.55** მხ. ფილმი **"ბოლოს ბოლოს"** **02.10** ღამის ფილმი

09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი **"ფიფლს ბალი"** **10.30** სპ. პროგრამა "ასი" **11.05** თამაში "ბოიარის ცხენისმაგრე" **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი **"ეფემერა ბარბა და ბიბი ბუბუნინები"** **13.30** სერიალი **"ბოლოდროინდელი ბოლოს"** **14.05** სერიალი **"ბალანსირული ბოლოს"** **15.15** მხ. ფილმი **"ბრინჯის საიდუმლოება"** **17.30** "ბულამები" **18.05** სერიალი **"ეფემერა ბალი"** **19.30** სერიალი **"ეფემერა ბარბა და ბიბი ბუბუნინები"** **20.30** ლარის მახე **21.05** სერიალი **"ბალანსირული ბოლოს"** **22.55** თოქ-შოუ "არჩევანი თქვენ" **23.55** სერიალი **"ბალანსირული ნაბიჯები ლანი"** **00.50** არტ-ფილმი **"ბრიტ ბრიდლეი"**.

09.00 "ღამის მზერა" (კან) **10.00** სერიალი **"ბარბა ეფემერა"** **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "ბრინცესა შეპჭიროზადა" **19.00** სერიალი **"ბარბა ეფემერა"** **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი **"ფიფლ ბალი ეფემერა"** **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი **"ბრბოები ბალი"**

12.00 მხ. ფილმი **"ლეგიონერი ჯო"** **13.30** მხ.ფილმი **"ბალანსირა ბალეტა"** **15.00** მხ.ფილმი **"ბოლოსელის ბალეტა"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი **"ამერიკული ფიტაკონი"** **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი **"ხანიერი ეკიბარი"** **22.30** მხ. ფილმი **"ბალანსირა ბალეტა"**

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** სალონი **13.30** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **14.30** დოკ. ფილმი საქართველოზე **15.00, 21.00** ვესტი **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** "ხვალ" **20.30** "ბომბაელი" **21.00** "ვესტი" **21.30** კრიმინალი, პოლიციელი, საზოგადოება **22.30** "გამარჯობა" **23.15** მუსიკალური პაუზა **23.00** მხ. სერიალი **"ოჯახის ნახატები"**

08.00 მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი **"ბუბუნინების ბუბუნინი"** მთ. რ-ში გვინეტ პელტროუ, ჯოზეფ ფაინსი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** სოლო **00.00** "ბრავო" **"ოქროს სპერმიდრაკონი"** მთ. რ-ში ჯულიანა მური, დენის ქუეიდი. **02.15** "ღამური" **"ბალეტიანი ბუბუნინები"**. მთ. რ-ში ჩოუ იუნ-ფატი, მირა სორვინო. **03.45** პაუზის გარეშე

09.30 სერიალი **"ბაკა-ზალვა"** **10.20, 15.20, 16.20, 18.50** მუსიკა **10.30** მულტსერიალი "ტომი და შინა" **11.00** მხ. სერიალი **"ბოლოდროინდელი ამბები"** **12.00** "ცხელი ცხრიანი" **12.40** რუს. მხ. ფილმი **"ბოლოდროინდელი ოფიციანტი"** **14.15** "ტელემეტრი" – მზის დაკვრა-ტბა **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** "ქართული ფეხბურთი" **15.30** სერიალი **"ბოლოდროინდელი ამბები"** **16.30** დოკ. სერიალი "ფოტორობობტი" **17.50** სერიალი **"ბაკა-ზალვა"** **18.40** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **19.00** სერიალი **"ბოლოდროინდელი ამბები"** **20.00** დოკ. ფილმი "მსოფლიო ფერწერის ისტორია" **21.15** სერიალი **"ბოლოდროინდელი ამბები"** **22.00** "ღამის ბალეტიანი" **00.20** მხ. ფილმი **"ბალეტიანი ნაბიჯები"**.

შაბათი
9 აგვისტო

08.00, 15.00 მოამბე **08.15** მხ. ფილმი **"ბოლოდროინდელი ეფემერა"** **09.50** მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" **10.15** ცეკვის ანსამბლი "თარიკონი" **10.25** დოკ. სერიალი "ავიაშოუ" **10.45** მხ. ფილმი **"ბალეტიანი ბუბუნინები"** **12.20** დოკ. ფილმი "კაცი, რომელმაც პოლიციედან მოატყუა" **13.15** მეტრო **13.50** კვალი **14.25** საქართველო, დრო, მოვლენები **15.00** "მოამბე" **15.15** მხ. ფილმი **"ეფემერა ბარბა"** **16.55** სანინდარი **17.25** "ოქროს ფრთა" **18.00** "ვესტნიკი" **18.45** "თბილისის დროითი" **19.05** ენერგია **19.30** "ეკოდაიჯესტი" **20.00** მოამბე **20.35** სერიალი **"ბასსანლე ბოლეი"** მე-3 ს. **21.25** პროფეთეული **22.00** "შორეული ახლობელი" (ფ.ბულულოლილი) **22.40** პარიზის ოლიმპიური ფეხსაცავი **23.05** მღერის ანსამბლი "ენერგეტიკა" **00.15** მოამბე **00.30** მხ. ფილმი **"ბილიონ ფუნტი სტერლინგის ბანკნოტი"**

19.00 მულტფილმი **19.30** ორატორი **19.40** მხ. ფილმი **"ეფემერი ფარანდული"** **21.30** წარსული ტერატორია **22.00** მხ. ფილმი **"ბალეტიანი ბუბუნინები"**

08.00 კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** ფიფქია **09.50** ცხოველთა ომები **10.20** საბ.ფილმი "ჰერკულესის თავგადასავალი" **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ.ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** დოკ. სერიალი "ველური სამყაროს ამბები" **17.40** სერიალი **"ხუთმა ინალბოსანი ბალეტიანი"** **18.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი **"ხუთმა ინალბოსანი ბალეტიანი"** **19.35** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **20.05** სერიალი **"ეფემერი ბალეტიანი"** **21.00** **ქრონიკა** P.S. **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** **ფსიმი**. მხ.ფ. **"ბოლოდროინდელი ამბები"** რეჟ: ლევ ულმანი. **02.20** მხ.ფილმი **"ბასსანლეფლეი ბაბარ"**. მთ. რ-ში: ტომ კრუზი, კოლინ ფარელი.

08.00 ანონსი **08.05** დილიერი **10.30** მხ. ფილმი **"ეფემერი ოჯახი"** **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **13.10** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი **17.20, 18.30, 21.55, 01.00** მუსიკა **18.00, 19.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **20.30** ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **23.30** მხ. ფილმი **"ბოზიერი ბაბარ"** **02.40** ღამის ფილმი

09.00 ქრონიკა **09.05, 13.40, 23.30** იმედის მელოდიები **10.20** ანიმაციური სერიალი "მითიური მეომრები" **10.45** მხ. ფილმი **"ამერიკული ბალეტიანი"** **12.30** სერიალი **"ეფემერი ბალეტიანი"** **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 21.00, 22.00** ქრონიკა **13.15** სერიალი **"ეფემერი ბალეტიანი"** **13.50** თოქ-შოუ "არჩევანი თქვენ" **15.10** რეტროსკოპი **"ეფემ ბალეტიანი"** **17.15** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის" **18.00** ერთხელ ჰოლიეუდში **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.25** სერიალი **"ბალეტიანი ინ ალბოსანი"** მე-5 ს. **21.05** ქარი. სერიალი **"ბალეტიანი ბოლეი"** მე-8 ს. **22.45** "სალამის ღიმილი" **23.00** "კლილოდო" **00.30** მხ. ფილმი **"ბაბარიეფი"**.

09.00 მულტფილმი "ბრეკი" **10.35** მხ. ფილმი **"102 ბალეტიანი"** **12.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.10** საბავშვო **18.05** სერიალი **"ეფემერ ბალეტიანი"** **19.00** სერიალი **"ბოლოდროინდელი ამბები"** **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.30** მხ. ფილმი **"ბალეტიანი სინაფში"** **22.30** მხ. ფილმი **"ბალეტიანი 2"** **00.40** მზის სერენადა.

12.00 მხ. ფილმი **"ბალეტიანი ბალეტიანი"** **13.30** მხ. ფილმი **"ბალეტიანი ბალეტიანი"** **15.00** მხ.ფილმი **"ბალეტიანი"** **17.00** მხ. ფილმი **"ეფემერ ბალეტიანი ბალეტიანი"** **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი **"ბალეტიანი ბალეტიანი"** **22.30** მხ. ფილმი **"ბარბ ეფემერიანი, ბარბ ბალეტიანი"** **00.20** მხ. ფილმი **"ეფემერიანი"**

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** სალონი **13.30** ექიმი გეორგრეკ **14.30** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **15.00, 21.00** ვესტი **15.30** საბავშვო მუსიკალური კოლაჟის გაგრძელება **16.00** ლაბირინთი **17.00** მუსიკალური პაუზა **17.30** თქვენი ადვოკატი **18.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **20.00** თინეიჯერი **21.30** "ზეკალი" **22.00** "და ღმერთმა შექმნა ქალი" **22.30** საოცარი პირამიდა **23.00** მხ. ფილმი

09.00 მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ფილმი **15.00** მუსიკა **16.00** ფილმი **"ბუბუნის ბალეტიანი"** მთ. რ-ში სანდრა ბალოკი, ბენ აფლეკი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **19.50, 20.15** სველი ხაზი **21.15** ქართული მუსათეული **22.35** კვირის საუკ. ლექსები **23.00** ამა გამოიცანი კადრი **00.00** "ბრავო" **"ფეფლი"** მთ. რ-ში ტომი ლი ჯონსი, ბენსიიო დელ ტორო. **01.50** "ღამური" **"ბალეტიანი"**. მთ. რ-ში მელ გიბსონი, რენე რუსო. **03.45** პაუზის გარეშე

09.30 სერიალი **"ბაკა-ზალვა"** **10.20, 12.30, 16.20, 17.20** მუსიკა **10.30** მულტსერიალი "ტომი და შინა" **11.00** სერიალი **"ბოლოდროინდელი ამბები"** **12.00** დოკ. ფილმი "მსოფლიო ფერწერის ისტორია" **12.40** მხ. ფილმი **"ბალეტიანი ნაბიჯებიანი"** **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** დოკ. სერიალი "ფოტორობობტი" **15.35** სერიალი **"ბაკა-ზალვა"** **16.30** დოკ. სერიალი "ფოტორობობტი" მე-4ს. **17.50** სერიალი **"ბაკა-ზალვა"** **18.40** მულტსერიალი "ტომი და შინა" **19.00** "საუბრები სტუდიაში" **20.00** დოკ. სერიალი "ფაქტზე დაჭერა" მე-10ს. **21.15** ფილმი-კონცერტი "ბრიტნი სპირსი" 1-ლი ს. **22.15** ტელემეტრი – გარუჯვა-აკვარიუმი **22.30** გადაცემა "ოლიმპი" – ფრენკ სინატრა **22.45** მოკლ.მხ.ფილმი **"ფიფლ ბალეტიანი ბალეტიანი"** **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.20** მხ. ფილმი **"ბალეტიანი ნაბიჯებიანი"**.

კვირა
10 აგვისტო

08.00 მოამბე **08.10** ზოოპარკი **08.25** მხ. ფილმი **"ბილიონ ფუნტი სტერლინგის ბანკნოტი"** **09.50** დოკ.სერიალი "ქვეყანა, ქვეყნები" **10.45** "ამბები ჩვენზე" **11.15** "ტვ-ლოტო" **12.05** სპა **12.30** მხ. ფილმი **"ბალეტიანი"** **13.55** დოკ.სერიალი "ავანტიურისტი მედიკოსები" **14.25** არათბილისური ამბები **15.00** მოამბე **15.15** სპექტაკლი **"ბასსანლეს ლლე"** **17.15** მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" **17.20** საკვირაო გამოფენა **17.35** ტელეზღაპარი **18.00** ფეხბურთი. თბილისის **"ლოკომოტივი"** – გორის **"ლლეა"**. შესვენებისას "ავიაშოუ" **20.00** ტაიმ-აუტი **20.55** ამბობენ **21.25** სერიალი **"ბასსანლე ბოლეი"** **22.15** "დაკარგული ნიბებები" (თ.ჩანტლაძე) **22.20** მეალმანია **23.30** დოკ. ფილმი "სანსანელი" **00.05** ტაიმ-აუტი **00.40** მხ. ფილმი **"ბალეტიანი"**.

19.00 მულტფილმი **19.30** დიზაინი **19.50** მრავალსახეობა **20.30** შტრიხები პორტრეტისთვის **21.00** მოკლ. მხ. ფილმი **"ეფემერ" 22.00** შვიდეული **23.00** მხ. ფილმი **"ბანანეა-ბალ ოლანდიელი"**.

08.00 კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** ფიფქია **09.50** ცხოველთა ომები **10.20** საბ.ფილმი "ჰერკულესის თავგადასავალი" **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.50** მხ.ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.10** სერიალი **"ხუთმა ინალბოსანი ბალეტიანი"** **18.00, 00.00** კურიერი **18.20** სერიალი **"ხუთმა ინალბოსანი ბალეტიანი"** **19.00** მხ. ფილმი **21.00** კურიერი **21.45** ჩვენი ეზო **22.00** "ჯეოსულის კინოკლუბი" - **"ნიფლი ბოსანელი"** **877 45-79-25** იან ბაკ კელნი, ბრედ რენფორო, **"ბალეტ ფუნტიანი"** **877 45-79-26** რომი შნაიდერი, ვიქტორ ლანუ, **"ბალანსიული ბასსანლი"** **877 45-79-27** დევიდ ნორმანი, ჯეიმს ბრედფორდი. **00.10** მხ.ფილმი **"ბასსიფლეი ბალეტიანი"**. მთ. რ-ში: ბეიდ ლკოუზი, მიშელ პფაიფეერი.

08.00 ანონსი, მულტფილმი **08.20** აღსავალი **08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50** მუსიკა **08.30** ახალი ამბები **09.00** მხ. ფილმი **"ბოსტონერ ბარბარ"** **10.20** მულტფილმი **10.50** მხ. ფილმი **12.30** გადაცემა - მურადა (ანმ.) **13.00** მხ. ფილმი **15.00** თეთრი კვადრატები – გვიდო რენი **17.00** ბალეტი **20.00** მხ. ფილმი **"40 დღე და 40 ღამე"** **22.00** ტელე-სინეკიდეო **23.00** მხ. ფილმი **"ჯეფერსონ ოლანდელი"** **01.00** ღამის ფილმი

08.55 ქრონიკა **09.05, 16.40, 18.00, 01.20** იმედის მელოდიები **10.20** ანიმაციური სერიალი "მითიური მეომრები" **10.50** სერიალი **"ბალანსიული ინ ალბოსანი ბასსანლ"** მე-5 ს. **12.30** სერიალი **"ბალანსიული ბასსანლ"** **13.00, 15.00, 16.45, 19.00, 21.00, 22.00** ქრონიკა **13.15** სერიალი **"ბალანსიული ბასსანლ"** **13.40** თამაში "ბოიარის ცხენისმაგრე" **14.30** სპორტ. პროგრამა "ასი" **15.15** ქარი. ფილმი **"ბალანსიული ბასსანლ"** **16.45** "სალამის ღიმილი" **17.15** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის" **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.30** სერიალი **"ბალანსიული ბოლეი ბასსანლ"** მე-5 ს. **20.30** X-ელეზიები **21.05** ქარი. სერიალი **"ბალანსიული ბოლეი"** მე-9 ს. **22.45** მოლამები **23.10** მხ. ფილმი **"ეფემერ ბოსტონი და ჯონი ბოლეროი"** **01.35** ქრონიკა.

09.00 მულტფილმი "ყველა ძაღლი სამოთხეში მიდის" **10.30** მხ. ფილმი **"ბალეტი ბასსანლინ ბალეტი"** **12.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.10** საბავშვო **18.05** სერიალი **"ეფემ ბალეტიანი"** **19.00** სერიალი **"ბოლოდროინდელი ამბები"** **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.30** მხ. ფილმი **"ბანანეა ბოლეროანი"** **22.30** მხ. ფილმი **"ბალეტ ფუნტიანი 3"** **01.00** მზის სერენადა.

12.00 მხ. ფილმი **"ბალეტის ბასსანლანა"** **13.30** მხ. ფილმი **"ბარ ბოსტანელი, ბარ ბალეტიანი"** **15.00** მხ. ფილმი **"ბალანსირ"** **17.00** მხ. ფილმი **"ბალ ბოლეანელი"** **19.00** ინდ. მხ. ფილმი **"ბალეტიანები"** **22.00** მხ. ფილმი **"ბალეტ"** **00.10** მხ. ფილმი **"ეფეკანელი ბალეტიანა"**.

11.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **12.00** თეატრალური შეხვედრები **13.35** ბინელისური ოჯახები **14.00** ძველი ინდური კინო **"ბასსანლანა"** **16.30** დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში" **19.00** კითხვების კორიანტელი **19.20** ცერიდეკა ვარსკვლავები **20.00** შეხვედრა ვარსკვლავთან **20.20** მოგზაურობა ბავშვობაში **20.40** თავისუფალი მიკროფონი **20.50**

რუსთავი — 55

ძირძველი რუსთაველები

(ფერილი მესამე)

ჩვენს ქალაქში ქართული სიტყვის დიდოსტატების ჩამოსვლა ზეიმად იქცეოდა ხოლმე. ასე იყო იმ დღისითაც, როდესაც იოსებ ნონეშვილი, ხალხის მიერ აღიარებული პოეტი, რუსთავს პირველად ესტუმრა.

ბბგონი იოსები თავისი კეთილი ღიმილით ეგებებოდა ყველას, გბოცებული თვალებით ბთელიერებდა ცეცხლისმფრქეველ ღუმელებს, მასთან შეჯიდებული ქართველი ვაჟკაცების გარჯამ მოხიბლა. იმდენად დიდი იყო მასპინძელთა სიხარული, ვიღაცამ შამპანურიც კი შემოპპარა, სასმელის ქარხანაში გამოიწვნა კი მკაცრად აკრძალებოდა.

შემდეგ ქალაქს გაეცნო, ბოლოს მე-10 საშუალო სკოლას ესტუმრა, მწერლის ძირითადი მასპინძლები აქაური პედაგოგები და მოსწავლეები იყვნენ.

და, აი, შეხვედრის ბოლოს, სანამ ბბგონი იოსებ საკუთარი ლექსების კითხვას შეუდგებოდა, აღელვებულმა ბრძანა:

— მდიდარია ფანგაჩიით ჩვენი ზღაპრები, მაგრამ ისინიც კი ფერმკრთალდებიან ჩვენი ხალხის ზღაპრულ შემართებასთან. რომელ ზღაპარში მოისმენთ, რომ სულ რაღაც რამდენიმე წელიწადში უდაბურ ველზე ამენდა საქვეყნოდ ცნობილი ქალაქი, თავისი შეგალურგიული და ქიმიური გიგანტებით. რუსთავი საქართველოს ინდუსტრიული სიამაყეა, ხოლო მისი შემოქმედი ერი ნამდვილად დიდების ღირსიაო.

გიგანტომანიით ცნობილ იმ დროშიც კი, ლამის დაუჯერებელი იყო შიშველ ველზე ასე ბრწყინვალე, მრავალდარგოვანი მრეწველობით განთქმული, ასე ლაღად მხრებგაშლილი ქალაქი ასეთ მოკლე დროში რომ ამენდა, ალბათ იშვიათია ისეთი ქალაქი, რომელსაც 55 წლის ასაკში თავის დამპაკვიდრებელი ადამიანების ასეთი გუნდი ჰყავს.

საბედნიეროდ, ისინი ჩვენს გვერდით მრავალად არიან და იუბილარ ქალაქს ჩვენთან ერთად ესალმებიან.

ჯერ კიდევ 1944 წელს რუსთავის ველზე სიცოცხლის ნიშნისვენებად ერთადერთი რკინიგზის მაგისტრალი და სადგურის ულიმლამო ორსართულიანი ნაგებობა იკვეთებოდა.

და კიდევ, თბილისიდან აღმოსავლეთით, აზერბაიჯანისკენ მიმავალი მგზავრი, სადგურის ამ უფერული შენობის ბასმლილად „ბარაკის“ გიპის რამდენიმე საცხოვრებელ სახლს შენიშნავდა. აქ ცხოვრობდა რკინიგზის ბაქნის და სალიანდაგო მეურნეობის მომსახურეთა რამდენიმე ოჯახი.

თვით რკინიგზა დაახლოებით 1865-67 წლებში გაუყვანიათ. ეგ იყო და ეგ.

მე მქონდა ბედნიერება, თავის დროზე, იმ ძირძველ რუსთაველ-თაგან რამდენიმეს შეეხვედროდი.

— წინათ რუსთაველს ბაქანთან მაგნარებელები არ ჩერდებოდნენ, — იგონებდა 1929 წლიდან აქ დამკვიდრებული გბრიელ ხანიაშვილი, — ჩემამდე ჩემს უფროს კოლეგებს უთხოვიათ რკინიგზის სელმძღვანელობისათვის, აქ გაჩერება დაეკანონებინათ, რათა თბილისთან კავშირი ჰქონოდათ. მათი განკარგულებით შემდგომ ზოგიერთი სამგზავრო მაგნარებელი მცირე ხნით შეყოვნდებოდა ხოლმე. იმავე გაბრიელ ხანიაშვილის თქმით, რუსთაველს მიდამოებს აბერბაიჯანელი მწყემსები საძოვრებად იყენებდნენ თურმე. აქ ხშირად იმლებოდა მეცხვარეთა ბანაკებიც. თვალსაწიერს ეკალბარდები ფარავდა და ხშოლად მონადირე თუ ჩაადწევდათ ღღეკანელელ კულტურისა და დასვენების პარკამდე.

სკეფნაე წიწაკაშეილი რუსთავში 1922 წელს ჩამოსულა, იგი თავისი საცოცხლის მანძილზე მეცირედ მუშაობდა. ძალიან მიყვარდა — იგონებს ის, — არიშის ციხისკენ გასეირნება (მე მაშინ ბინა სახელი არც კი ვიცოდი), გბოცებული ვიყავი მისი ჯრანდიოზულობით, მაშინ იქაურობა ვერსებს ჰქონდდათ შემორაგული, თვით ციხის კბფობი კი ჯაგნარით იყო დაფარული. თუ ფრთხილად არ იქნებოდი, ბეურმას ვერ გადაურჩებოდი, ტურა-მეალაც თავს ლაღად გრძნობდაო.

იოსებ ელიამეილი 1938 წელს ჩამოსულა, ნიკოლომ პაველიაშვილი — 1928 წელს, შემდგომ მათ შემომაგებიან სპარიდონ ბეგანიმეილი, ირიდიონ დაუშვილი, ისაკ მაისურაძე და სხვები, ყოველი მათგანი ოჯახებით მკვიდრდებოდნენ იმ-ხანად სადგურ კარგაფად წოდებულ ალაგას.

თუმცა ყოველივე ამას წინ დიდი ამბავი უძღოდა, რომლის შესახებ დიდხანს არავინ არაფერი უწყოდა. ის დიდი საქმე კი ჯრემლში გადაწყდა.

ამის შესახებ ფრიად საინტერესოდ აქვს მოთხრობილი საქართველოს მამინდელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს კაბალ ჩარკვიანის.

გთავაზობთ მისი მოგონებების წიგნიდან ამონაწერს:

„საქართველოში მეგალურგიული ქარხნის მშენებლობა ჯერ კიდევ ომამდე დაიგეგმა. დამუშავდა პროექტი, ჩაგარდა სამიეთო სამუშაოები. და ყველაფერზე 75 მილიონი მანეთი დაიხარჯა. გადაწყდა, ქარხანა ახლანდელი საავიაციო ქარხნის მახლობლად განთავსებინათ, ხოლო საწარმოს მშენებლობა, სალიონის რჩევით, პერსონალისათვის საცხოვრებლების აგებით დაეწყოთ. სამუშაოები დიაწყო კიდეც, მაგრამ ჩვენი გეგმების განხორციელებას ომმა შეუშალა ხელი. მას შემდეგ, რაც ჩვენმა ძლევამოსილმა არმიამ მთელ ფრონგზე ფართო შეტევა წამოიწყო, გადავწყვიტეთ, ამ საკითხს ისევ დავბრუნებოდით. მით უმეტეს, რომ კარგად მახსოვდა ომის დასაწყისში სტალინის მიერ ჩემი თანდასწრებით წარმოთქმული სიტყვები: „არა უშავს, დადგება დრო და ჩვენ ქალაქს კი არ დავანგრევთ, აავშენებთ“. ეს დრო ახლოვდებოდა. მეგალურგიული გიგანტის მშენებლობის პროექტში ერთი რამ არ მომწონდა — მისი განლაგების ადგილი. მიმაჩნდა, რომ ქარხანა და, შესაბამისად, ქალაქი, რესპუბლიკის დედაქალაქიდან 28-30 კილომეტრით უნდა ყოფილიყო დაშორებული, მაგრამ ჩემს თვალსაწარის არ ეთანხმებოდნენ ცკ-ის მდივანი ეკონომიკის დარგში ჩხუბიანიშვილი და ცნობილი ინჟინერ-მეგალურგი ქაშაკაშვილი. ჩემს მიერ შემოთვალებული ტერიტორიის წინააღმდეგ ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ფრანგულიანიც გამოდიოდა — მალარიული ადგილიაო. სწორედ ამ დროს მოსკოვში გამომიძახეს. სტალინმა დამირეკა და მთხოვა, სხვა მასალებთან ერთად ამერიკიკავკასიის მეგალურგიული ქარხნის მშენებლობის დოკუმენტაციაც ჩამეგანა. 1944 წლის იანვარი იდგა. ომი ჯერ კიდევ მძვინვარებდა, მაგრამ მაგარებელი უკვე ჩვენზე მარმრუტით დადიოდნენ — როსტოვის, ხარკოვის და კურსკის გავლით.

მოსკოვში ჩასვლის მეორე დილას სასტუმრო „მოსკოვის“ ნომერში სტალინის სამდივნოდან დამრეკეს და მითხრეს, რომ იგი დღის 2 საათზე აგარაკზე მიმიღებს. მახლობელ აგარაკზე ჩასულს ზურბლთან თავად მასპინძელი შემომხვდა, თბილად მომესალმა და სასადილოში შემიყვანა, რომელიც კაბინეტის როლსაც ასრულებდა და სამინისტროსაც. სტალინი 1941 წლის ივნისიდან არ მენახა, მაგრამ გასულილ მძიმე წლებს მისთვის, თითქოს, კვალი არ დაუმჩნევია. ჩვეულებრივ, სტალინი ვინმეს მიღებისას პირდაპირ საქმეზე გადადიოდა, ზოგჯერ სალმის გარეშეც კი. მაგრამ ამჯერად მან დაწერილებით გამომკითხა ყველაფერი, განსაკუთრებთ დაინტერესდა, რა მთაბეჭდილება მოახდინა ჩემმზე გაპარგახეულმა ქალაქებმა და გადამწყვარმა სოფლებმა, რომლებიც მგზავრობისას ვნახე. მე მხოლოდ ხელები გავშალე და თავი გავაქნიე — იმ მძიმე შთაბეჭდილების გამოსახატავად სიტყვები არ მეყო. სტალინმა სწორად გამიგო და გარკვეული ხნით კვლავ ოთახში მყოფ ხრუშჩოვთან საუბარზე გადავერთო, რომელიც ჩემი გამოჩენისას შეწყვიტა. რამდენადაც მახსოვს, საქმე მოსკოვის კეთილმოწყობას ეხებოდა. როგორც იქნა, საუბარი დამთავრდა. სტალინი მე მომიბრუნდა: „მასალები ჩამოიტანეთ?“ ვუთხარი, რომ ყველაფერი თან მაქვს. „კარგია, — თქვა სტალინმა და ხრუშჩოვს მიმართა: ქართველები ამიერკავკასიის მეგალურგიული ისინი იქნებიან.

გერმანიის ქალაქ ჰაიდელბერგში 16-17 აგვისტოს მეორე გთამაშების ფინალურ ეტაპზე 12 გუნდი მოიყრის თავს. წილისყრის შედეგად A ჯგუფში მოხვდნენ: საქართველო, გერმანია, შოგლანდია, უკრაინა, პოლონეთი, პოლანდია. B ჯგუფში — საფრანგეთი, პორტუგალია, ხორვატია, რუმინეთი, ესპანეთი და ჩეხეთი.

ჰაიდელბერგში, 16_17 აგვისტოს

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები, მოგეხსენებათ, წლეულს მსოფლიო თასის გათამაშების ფინალური ეტაპისთვის უნდა მოემზადოს. სამწუხაროდ, უსახსრობის გამო ჩვენს ბორჯღალოსნებს თითქმის ყველა ევგმა ჩაეშალათ. ისინი ოკეანის გადმა უნდა გაფრენილიყვნენ ამხანაგური მაგრების გასამართავად, მაგრამ ვერ მოხერხდა. ამიგომაც სათადარიგოების ნაცვლად (როგორც უწინ იყო გამიშზული) ჰაიდელბერგში „შვიდკაცას“ ფინალზე ეროვნული ნაკრების წევრები გაემგზავრებიან კლიდ სორელის ხელმძღვანელობით. გერმანიაში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ: გიორგი ჩხაიძე, გიორგი ლაბაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, ირაკლი აბუსერიძე, თეიდ ბიბმაბაძე, ირაკლი გიორგაძე, ბაფრი ხეხელამეული, ირაკლი მაჩხანელი, ირაკლი გუნდიშვილი და გრეგორ იაშვილი. ჩვენი მორაგბეების შეხვედრების განრიგი ასეთია: **16 აგვისტო,** 13.20. საქართველო-პოლონეთი, 15.20 საქართველო-გერმანია, 18.00, საქართველო-უკრაინა. 19.20 საქართველო-შოგლანდია. **17 აგვისტო.** 19.20 საქართველო-ჰოლანდია. მთავარი პრიზისთვის ბრძოლა შემდეგი ოლიმპიური სისტემით დამთავრდება. იმედია, ბორჯღალოსნები არც ამჯერად მეირცხვენენ თავს.

გიორგი გაგუა.

ხელბურთი

საკლუბო გუნდების იმედად

ამას წინათ ხელბურთელთა ევროპის საკლუბო ტურნირების წილისყრამ საქართველოს გუნდების შეგროქვები დაასახელა. თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველ ეტაპზე „ქუთაისის“ მეგოქე იქნება ესტონეთის „პლეგა სერვიტა“. მათი შორის გამპარჯვებელი გერმანიის „ესენს“ შეხვდება.

მეორე ეტაპიდან ჩაებმებიან ბრძოლაში საქართველოს სხვა

გუნდები. ქვეყნის უცველელი ჩემპიონი სტუ-„შევარტი“ ევროპის ხელბურთის ფედერაციის პრიზიზე ბელორუსის „ბრესტსკი ჰ.კ. მემკოვის“ ეთამაშება, თბილისის „მამული“ გამოწვევის თასისთვის მაკედონიის „ტეტოვსკი კომბინატთან“ ითამაშებს. ეს მაგრამ ოქგომბერში გაიმართება. მეჯიბრეობამი მესამე წრიდან ჩაერთვებიან თბილისის „თბილისი“, რომელიც თასების მფლობელთა თასის გათამაშების მონაწილეა.

წინა წლების გამოცდილებას თუ გავიხსენებთ, სავარაუდოდ, ჩვენი გუნდები ორივე ორთაბრძოლას, ალბათ, სტუმრად გამართავენ, რადგან მიმოსვლითი შეხვედრებისთვის სპბანი არ გასწვდებათ.

ერთიც გვინდა გაუწყოთ: ახლახან 2005 წლის მსოფლიო ჩემპიონობის შესარჩევი ეტაპის წილისყრაც მოეწყო, მაგრამ საქართველოს ნაკრებს იგი არ შეხებია, რადგან უსახსროდ დარჩენილმა საქართველოს ხელბურთის ასოციაციამ ყველა რანგის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობაზე უარი თქვა.

ამირან ცხადაძე.

ჩემპიონთა ლიგა

ევროპის სტადიონებზე

გაემართა ჩემპიონთა ლიგის II საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებითი მაგრები. გაუწყვეთ მათ შედეგებს (ფრჩხილებში პირველი შეხვედრის შედეგებია ნაჩვენები): „მაქაბი“ (ისრაელი) — **„ეილინა“ (სლოვაკეთი)** 1:1 (0:1); ჰიკ (ფინეთი) — **მტკ (უნგრეთი)** 1:0 (1:3); **„მახგარი“ (უკრაინა)** — „მერიფუ“ (მოლდოვა) 2:0 (0:0), **„ვარდარი“ (მაკედონია)** — ცსკა (მოსკოვი) 1:1 (2:1), „ომონია“ (კვიპროსი) — **„ვისლა“ (პოლონეთი)** 2:2 (2:5), **„სლავია“ (ჩეხეთი)** — „ლეთთარი“ (ბოსნია) 2:0 (2:1); **ცსკა (ბულგარეთი)** — „პიუნიკი“ (სომხეთი) 1:0 (2:0); **„ანდერლეხტი“ (ბელგია)** — „რაპიდი“ (რუმინეთი) 3:2 (0:0); **„გრაცერი“ (ავსტრია)** — „ტირანა“ (ალბანეთი) 2:1 (5:1), **„რუსენბორგი“ (ნორვეგია)** — „პოპემიანსი“ (ირლანდია) 4:0 (1:0), **„სელგიკი“ (შოგლანდია,** — „კაუნასი“ (ლიგვა) 1:0 (4:0), „დინამო“ (ხორვატეთი) — „მარიბორი“ (სლოვენია) (2:1) (1:1); „ეურგორდენი“ (შვედეთი) — **„პარგიშანი“ (სერბეთი)** 2:2 (1:1), „სლემა“ (მალტა) — **„კოპენპაგენი“ (დანია)** 0:6 (1:4).

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ერთმანეთს შეხვდებიან: „ვარდარი“ (მაკედონია) — „სპარტა“ (ჩეხეთი), მტკ (უნგრეთი) — „სელგიკი“ (შოგლანდია), „რეინჯერსი“ (შოგლანდია) — „კოპენპაგენი“ (დანია), „აუსგრია“ (ავსტრია) — „მარსელი“ (საფრანგეთი), „ბრიუგე“ (ბელგია) — „ბორუსია“ (გერმანია), „მახგარი“ (უკრაინა) — „ლოკომოგივი“ (რუსეთი), „ლაციო“ (იტალია) — „ბენფიკა“ (პორტუგალია), „დინამო“ (უკრაინა) — „დინამო“ (ხორვატეთი), „რუსენბორგი“ (ნორვეგია) — „დეპორტივო“ (ესპანეთი), „გრასპოპერსი“ (შვეიცარია) — აეკ (საბერძნეთი), „ეილინა“ (სლოვაკეთი) — „ჩელსი“ (ინგლისი), „სელგა“ (ესპანეთი) — „სლავია“ (ჩეხეთი), „პარგიმანი“ (სერბეთი) — „ნიუკასლი“ (ინგლისი), „გალათასარაი“ (თურქეთი) — ცსკა (ბულგარეთი), „ინდერლეხტი“ (ბელგია) — „ვისლა“ (პოლონეთი), „გრაცერი“ (ავსტრია) — „ბიაქსი“ (ჰოლანდია).

მაგრეკები 12-13 და 26-27 აგვისტოს გაიმართება.

* * *

ინტერტოტოს თასზე მოასპარეზე გუნდებმა IV ეტაპის განმეორებითი შეხვედრები ასე დაამთავრეს: „ლიბერეცი“ (ჩეხეთი) — **„შალკე“ (გერმანია)** 0:0 (1:2), „კოპერი“ (სლოვენია) — **„პერუჯეფენი“ (ჰოლანდია)** 1:0 (0:2), **„ვოლფსბურგი“ (გერმანია)** — „სიბბალი“ (ხორვატეთი) 4:0 (4:1), „ვერდერი“ (გერმანია) — **„ჰაშინგი“ (ავსტრია)** 1:1 (0:4), **„პერუჯა“ (იტალია)** — „ნანგი“ (საფრანგეთი) 0 :0 (1:0); **„ვილეარეალი“** (ესპანეთი) — „ბრნო“ (ჩეხეთი) 2:1 (1:1).

ფინალში 12 და 26 აგვისტოს ითამაშებენ: „ჰაშინგი“ (ავსტრია) — „შალკე“ (გერმანია), „პერუჯეფენი“ (ჰოლანდია) — „ვილიარეალი“ (ესპანეთი), „პერუჯა“ (იტალია) — „ვოლფსბურგი“ (გერმანია).

ვალტერ ბენდელიანი.

ჭიდაობა

ელდარ კურტანიძე ნიუ-იორკისთვის ემზადება

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდაოვეთა ეროვნული ნაკრების ლიდერს, მსოფლიო ჩემპიონ ელდარ კურტანიძეს ესაუბრება ჩვენი კორესპონდენტი.

— ფინანსური პრობლემების გამო ხომ არ შეფერხდება ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის ნაკრების მზადების საწერთნელი ციკლი?

— სიძნელეების მიუხედავად, ჩვენი ფალავნები მონდომებით ემზადებიან ათენის XXVIII თამაშების ლიცენზიების მოსაპოვებლად. ნიუ-იორკის 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონაგზე 1-10 ადგილებზე გასული თავისუფალი სტილით მოჭიდაოვეები ელადის საგზურებს მიიღებენ. „კლასიკოსები“ კი საფრანგეთში ბრძოლებენ საამისოდ. ასეთ გადამწყვეტ პერიოდში სპორტისთვის თანხების ჩამოჭრა, ვფიქრობ, მძიმე დარგყმა იქნება.

ახლახან სეოკის პრეზიდენტი, პარლამენტის წევრი ჯანსუღ ბაგრატიონი პირადად ესაუბრა ბბგონ ელდარ მეკარანდაზეს, რომელმაც შესანიშნავად იცის ქართველ სპორტსმენთა წინაშე მდგომი პრობლემები. ეფიქრობ, რომ ქვეყნის პრეზიდენტი გულთან ახლოს მიიგანს ჩვენს საგაკეთილს.

— ამ ეფდა, არც ცნობილი ბიზნესმენი ბაფრი პაგარკაციშვილი დარჩება გულგრილი ოლიმპიური გუნდის წინაშე წარმოქმნილი პრობლემების მიმართ.

— მართალი ბრძანდებით, ბბგონი ბაფრი ყოველთვის ეხმარება სპორტსმენებს. სხვა ბიზნესმენებმაც რომ იმრჯნონ ჩვენზე, ურიგო არ იქნება. მაფხულის ოლიმპიადისთვის სათანადოდ თუ არ მოვემზადეთ, ოქროს მედალი კვლავ საოცნებოდ დაგვრჩება.

— იქნებ ისიც მითხრათ, რაგომ არ ინსპარეზეთ ოლეგ ნანიეთის მემორიალზეს?

— რიგის ევროპის ჩემპიონაგზე წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ კარგად ვიჭიდაეთ სახან-ვიურგის დიდ კომერციულ საერთაშორისო ტურნირში, სადაც ჩემს ზოგიერთ მომავალ მეგოქეს შევხვდი და ოქროს მედალთან ერთად სოლიდური ფულადი პრიზიც მიეიღე. სახან-ვიურგში 8:0 მოვუუე თურქ ფაგი ოღლის, ფინალში კი 3:2 დავამარცხე რუსეთელი ასლან გიგეეგი. ოლეგ ნანიეთის გრაფიციურ მემორიალზე გაქტიკური მოსაპრძალის გამო არ გავემგზავრე.

— ვლადიკავკაზში რუსებმა ოქვენს წონით (96 კგ) კაბეგორიაში მოსკოველი მსოფლიოს ექსჩემპიონი გიორგი გოგშელიძე აგიდავეს, რომელმაც ოქროს მედალი მოიპოგა. კურ მაგომედოვი ძმიმე წონაში გადასულა.

— ეს ამბავი მეც მეეიგყვე და ვემზადები ჩემს მოსკოველ თანამემამულესთან საჭიდაოდ. შესაძლოა, რუსებმა ნიუ-იორკის ხალიჩაზე სწორედ გოგშელიძე დამიპირისპირონ.

— სად მოემზადებით ნიუ-იორკისთვის?

— ეროვნული ნაკრები ჯერ ბაკურიანში გაიელის ორკვირიან საწერთნელ შეკრებას, შემდეგ ურეკში ან ქობულეთში ავარჯიშებს, პირველ სექტემბერს ნიუ-იორკში ჩაფრინდება და ათდღიან აკლიმატიზაციის გაიელის. 11-14 სექტემბერს „მედიასონ სკვერ-გარდენი“ პირველად უმასპინძლებს მსოფლიოს პირად-გუნდურ ჩემპიონაგს თავისუფალ ჭიდაობაში.

ესაუბრა
ზალვა ძორიძე,
სურათზე: ელდარ კურტანიძე.

ბაგიბი

წლეულს მეორედ იმპრეზიტა შეიდკაცა რაგბის ევროპული სეზონი FIRA-AER-ის ინიციატივით. შარშან პორტუგალიელებმა ფინალში ქართველი ბორჯღალოსნები დაამარცხეს. წლეულსაც უმთავრესი მეგოქეები ისინი იქნებიან.

გერმანიის ქალაქ ჰაიდელბერგში 16-17 აგვისტოს მეორე გთამაშების ფინალურ ეტაპზე 12 გუნდი მოიყრის თავს. წილისყრის შედეგად A ჯგუფში მოხვდნენ: საქართველო, გერმანია, შოგლანდია, უკრაინა, პოლონეთი, პოლანდია. B ჯგუფში — საფრანგეთი, პორტუგალია, ხორვატია, რუმინეთი, ესპანეთი და ჩეხეთი.

აძეთური-იძეთური

თეეში — 200 ათასი ევრო

კლიდ მაკელელე, საფრანგეთის ნაკრების წევრი და მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი, 2002-2003 წლების სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. ამავე დროს იგი თვლის, რომ „რეალში“ ცოგა არ იყოს, ჩაგრავენ, თვეში 200 ათას ევროს მოითხოვს და ამდენს არ აძლევენ. რახან ასეა, მას სურს გუნდის დაგოვება, წინადადებები კი „მანჩესტერ იუნაიტედიდანაც“ აქვს და „ინტერიდანაც“.

ახლა „რეალთან“ მოლაპარაკება „ჩელსიმაც“ დაიწყო, რომელიც მაკელელეს გაცილებით მეტ ანაზღაურებას ჰპირდება, ვიდრე იგი ესპანეთის დედაქალაქში იღებდა.

საკუთარ ხელმძღვანელებს ნუ აკრიტიკებ!

„ინტერსს“ ცნობილი მეკარე ფრანჩესკო ტოლდო, კლუბის მესვეურების განცხადებით, ფულადი თანხით დაისჯება. მას არ აპატიებენ „ინტერის“ ხელმძღვანელების პრესაში საჯაროდ გაკრიტიკებას. როგორც ტოლდო ამბობს, იმ მომენტში, როცა „ინტერი“ ჩემპიონთა ლიგაში „მილანთან“ მეგიდ ზნიშვნელოვანი შეხვედრისათვის ემზადებოდა, მის ფეხბურთელებს გამოუცხადეს, რომ ხელფასის შეკვეცას უპირებენ. როგორ მოხდა, რომ შესაფერისი დრო ვერ გამონახეს?!

აქეთ-იქით ასეირნებდნენ

როსა „მილანმა“ ხელორუსის ნაკრების თავდამსხმელი ვიგალი კუტუმოვი იყიდა, ბევრმა სპეციალისტმა ეს, ცოგა არ იყოს, გაუგებრად მიიჩნია. მართლაც, რითი უნდა დახმარებოდა ეს მოკრძალებული ფეხბურთელი მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს კლუბს. თუმცა მასთან ხელშეკრულება 2006 წლამდე გაფორმდა, მაგრამ კუტუზოვს „სან-სიროზე“ თამაში არ მოუხდა. აიდენენ და „სერია-B“-ს კლუბ „აველინოში“ გაანათხოვრეს, უკანასკნელ სეზონს კი ასევე ოჯარის უფლებით ლისაბონის „სპორტინგში“ ათამაშეს

43 წლის კარეკა ჩინებულად თამაშობს

ბანოძეულმა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა კარეკამ ამ დღეებში საყოველთაო ყურადღება მიიპყრო: მან სამსახური შესთავაზა „ნაპოლის“ კლუბს, სადაც მარადონასთან, ალემაოსა და ჩიროო ფერარასთან გამოდიოდა. 1987-93 წლებში ბრაზილიელმა ამ კლუბში 6 სეზონი გაატარა და 221 მაგრში 96 გოლი გაიგანა.

ზოგი იფიქრებს, რომ კარეკამ „ნაპოლის“, ამ, დღეისათვის გასაცოდავებული კლუბის მწვრთნელობა მოინდომა. არა, საქმე ასე არ არის. კარეკა თვლის, რომ 43 წლის ასაკის მიუხედავად, დღესაც ჩინებულად თამაშობს და შეუძლია ძალიან დაეხმაროს გუნდს, რომელმაც წელს რის ვაივაგლახით შეინარჩუნა ადგილი იტალიის „სერია B-ში“.

— ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. გეპირებით, სეზონში 13-15 გოლს გავიგანან, — განაცხადა კარეკამ.

ყოველი მხრიდან

ბოლოგანი წინ მიიწევს

კიდევ უფრო განამტკიცა ლიდერის პოზიციები დორგმუნდის XIX კაგეგორიის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე მოლდოველმა დიდოსტაგმა ვიორელ ბოლოგანმა. მეორე წრის სასტარტო VI პარტიაში მან თეთრებით 17 წლის გერმანელი ოსტაგი არკადი ნადიჩი დაამარცხა. ახლა მას ხუთი ქულა აქვს.

ძალზე უფერულ ყაიმს მიაღწია მეორე ადგილზე მყოფმა მსოფლიო ჩემპიონმა კლასიკურ ჭადრაკში ვლადიმერ კრამნიკმა ახალგაზრდა აზერბაიჯანელ დიდოსტაგ თემურ რაჯაბოვთან. ინდოელმა ვიშვანათან ანანდმა კი ბოლო ადგილიდან მესამეზე გადაინაცვლა უნგრელ პეტერ ლეკოს დამარცხებით.

6 ტურის შედეგ დორგმუნდში ასეთი მდგომარეობაა: ბოლოგანი 5 ქულა, კრამნიკი — 3,5, ანანდი —3, რაჯაბოვი — 2,5, ლეკო და ნაიდიჩი — 2-2.

საჩოგბურთო მანიაკი შეიპყრეს

საფრანგეთის პოლიციამ დაატაგიმრა 43 წლის კრისტოფ ფაგეე. მას ბრალად ედება, რომ წინასწარ განზრახვით ნარკოგიკულ ნივთიერებებს ურევდა თავისი 16 წლის ჩოგბურთელი შვილის — მატილდის მეგოქეთა სასმელ-საჭმელში.

პოლიციამ მის კვალს მიაგნო ავგოკაგასტროფაში დაღუპული ერთ-ერთი პერსპექტიული ჩოგბურთელის სიკვდილის გამოძიებისას (მან მანქანის მართვის კონტროლი დაკარგა).

დაკითხეს მანიაკის შვილის ყოფილი მეგოქეები, ზოგიერთი მაგრის შემდეგ ჰოსპიტალშიც რომ მოხვდა. ერთ-ერთმა განაცხადა, რომ თამაშის წინ თავად ნახა თავისი სასმელი ყელის ბოთლი კრისტოფის ხელში.

ბრალდება თუ დაუმტკიცდება, კრისტოფს 20 წლით პატიმრობა არ ასცდება.

ისიც უნდა ითქვას, რომ 16 წლის მაქსიმი პერსპექტიული ჩოგბურთელად არ მიაჩნიათ, ფავეიეს 12 წლის ქალიშვილი ვალენტინა კი უკვე ითვლება საფრანგეთში საიმედო მოთამაშედ.

რეკორდისთვის — ბრილიანტები

მძლეოსნებს ძალიან მოსწონთ ნგოკპოლის სტადიონზე ასპარეზობა. აქ ხომ სტადიონის რეკორდის დამყარებისთვისაც კი სპორტსმენს კარგიანი ბრილიანტი ბაჯილდებენ, რომლის ფასი სულ ცოტა 10 ათასი დოლარია. იქნებ ამიგომაცაა, რომ ამ ოლიმპიურ სტადიონზე ყველაზე მეტი მსოფლიო რეკორდი დამყარებული — 83.

ასე იყო ახლაც — მძლეოსანთა საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) „გრან-პრის“ გათამაშების ეტაპზე. ფიქრობდნენ, რომ ერთ-ერთი ბრილიანტის მფლობელი აუცილებლად ჭოკით მხტომელ ქალთა ასპარეზობისას გამოვლინდებოდა, რომელშიც ალანეტის თითქმის ყველა სახელოვანი სპორტსმენი მონაწილეობდა. რუსეთელებს — ფეოფანოვასა და ბელიაკოვას უკვე მოპოვებული ჰქონდათ ეს ძვირფასი პრიზი.

შეიძლება ითქვას, მსოფლიო ჩემპიონმა, ამერიკელმა დრაგილამ უკვე 4,43 მეგრზე „დაყარა ფარ-ხმალი“. „ბრილიანგის“ ხგოშები კი რუსეთელებმა — ახალბედა მსოფლიო რეკორდსმენმა ისინბაევამ, ფეოფანოვამ და პოლონოვამ, მათთან ერთად პოლონელმა პირეკამ და გერმანელმა ბეკერმა განაგრძეს.

ბოლო ოთხეულმა (ამავე თანამმდევრობით) სხვადასხვა ცდით ერთნაირი სიმაღლე დაძლია — 4,58 მეგრი. ისინბაევამ კი 4,63 მეგრი გადალახა და „ბრილიანგის“ სიმაღლეზე (4,79) მიიგანა იერიში, მაგრამ ამაოდ.

800 მეგრზე რბენაში რუსეთელი იური ბორზაკოვსკი ლიდერობდა, თუმცა ფინიშთან კენელი ჯოზე მუგუა „წამოეპარა“ და გამარჯვება ხელიდან გამოსგაცა.

ტურნირის ორგანიზაგორებმა დიდძალი ფული გაიღეს ასპარეზობამი მსოფლიო რეკორდსმენის — გიმ მონგგომერის მონაწილეობისათვის. მაგრამ მან მხოლოდ მეექვსე ადგილი დაიკავა, არადა სგადიონის რეკორდის (9.87) გაუმჯობესებას აპირებდა, არ გაუმართლა სიმაღლეზე მხტომელ კაისა ბერკვისსაც, რომელიც მსოფლიო რეკორდის (2.09) დამყარებას ცდილობდა — მხოლოდ 1,95 მეგრი დაძლია. ყველას ახლანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა, სამხრეთაფრიკელმა ხესგრი კლოეგმა აჯობა. მისი მედეგია 2.01 მეგრი. მსოფლიო ჩემპიონი „ბრილიანგის“ ცერემონიის მონაწილე გახდა.

ცინცხალი ამბები

კანადაში გამომგავალი „ნეეროლოგიურ მეცნიერებათა ჟურნალის“ გამოკვლევით ეროვნული ჰოკეისტთა შორის გვინის შერყევის შემთხვევებმა ბოლო ხუთი წლის მანძილზე მკვეთრად იმატა.

თუ 1995-96 წლებში პროფესიონალ ჰოკეისტთა შორის დაფიქსირდა გვინის შერყევის 17 ფაქტი, რაც 1000 მაგრიდან 8 შემთხვევის გოლია, 2001-02 წლებში ამ მაგვენებელმა 74 შეადგინა, რაც 1000 მაგრიდან 30-ის გოლია.

* * *



ესპანეთის „ბარსელონას“ ფინანსურმა კრიზისმა წლევანდელ წელს მკვეთრად იმატა, რაც ეკლის სახით შეადგენს 250 მილიონ ევროს.

გუნდში ნაგარებული ადგილის შედეგად დღეისათვის დეფიციგი შეადგენს 164 მილიონ ევროს.

მიუხედავად ამ ბრანსახარბიელო ვითარებისა კლუბის პრეზიდენგი ხოან ლაპორგა იმედოვნებს, რომ ამ მდგომარეობიდან წელსვე გამოიცვანს კაგალონიურ გუნდს.

სპორტის რედაქცია

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

თაობა

მისი ჰობი მუსიკა და წიგნებია...

14 წლის ქეთი ჩხარგიშვილი - კონსერვაგორიის სგუდენგი

როდესაც პაგარა, კაფანდარა გოგონა ფოთის ხელოვნების სკოლაში შეიყვანეს, წერა-კითხვაც არ იცოდა — დამოუკიდებლად შეისწავლა ანბანი. სულ ცოგა ხანში განსაკუთრებული ნიჭით, სიბეჯითითა და შრომისმოყვარეობით გააოცა ბბგონ და მალე უპრეცედენგო რამ მოხდა — 9 წლის გოგონამ უკვე პირველი სოლო-კონცერგი შეასრულა, შემდეგ კი იგალიაში გამართულ პიანისგთა საერთაშორისო კონკურსის დიპლომანგი გახდა. იგი ამავე დროს, რესპუბლიკური კონკურსების ლაურეგგი და მერიის გრანგის მფლობელია.

თამარ ჩხარგიშვილი.

14 წლ

საქართველოს რესპუბლიკა
№ 209. პარასკევი, 8 აგვისტო, 2003 წელი.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, აკადემიკოსი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ძოწენიძე ქ. ტყვარჩელში ქალაქისა და ტყვარჩელნახშირის ხელმძღვანელებთან ერთად. პირველ რიგში (მარცხნიდან): ტყვარჩელის მე-5 შახტის უფროსი მიხეილ სიმონიშვილი, გრუსტ ტყვარჩელნახშირის მმართველი ვალერიან ღვინჯილია, აკადემიკოსი გიორგი ძოწენიძე და ქალაქის ხელმძღვანელი ლეონტი ქვარანძია.

მოგვაწოდა ვალერიან ღვინჯილიამ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.

ღიმილის დოზა

— პეტიკა, გესმის? მოდი, ჩაპპავეს ერთი ლიტრი არაფი მოვპაროთ!

— რაღაც ვერ გავიგე, ვასილ ივანოვიჩ...

* * *

ვალაზიაში:

— მომეცით დეზოდორი.

— რომელი? ცრემლსადენი თუ სუნი რომ აქვს?

* * *

მედდა:

— პეტროვ, ყველა ანალიზი ჩააბარეთ?

პეტროვი:

— არა!

რატომ?

— ცოტა სისხლი ჩემთვის დავიტოვე-

* * *

კაცს ზურგზე ცარიელი ბოთლებით სავსე ტომარა მოუკიდებია და დაფიქრებული მიდის.

— არ იბარებენ ბოთლებს? — თანაგრძნობით შეეკითხება გამვლელი.

— არ ვიცი. მე დედასთან მივდივარ. ცოლმა გამომაგდო და მითხრა — აიკიდე შენი ავალ-დიდება და წაეთრიეო.

ექიმმა ავადმყოფს ორი ტაბლეტი მისცა:

— ერთს დალევთ ძილის წინ, მეორეს დილას, თუ გაგეღვიძებათ.

* * *

ავტოინსპექტორი აჩერებს მანქანას და შოფერს მიმართავს:

— გადმოდით მანქანიდან! ალკოჰოლზე უნდა გაგსინჯოთ.

— კარგია, სიამოვნებით! უარს ვერ გეტყვით... მაგრამ სად წავიდეთ? „კონიაკი“ ახლოსაა, თუმცა ლუდზეც შეიძლება — „ყაზბეგში“.

მპს „პრესა-2002“ სარეზერვო დამკაბადონებლად სამუშაოდ იწვევს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს. ტელ: 99-06-88, 899-56-01-77.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის პონორარი არ გაიცემა.

არდავიწყება

სიკეთის მთესველი

ხალხური სიბრძნის თანახმად, ამ ქვეყნიდან წასულ ადამიანთა დანაკლისის ფასი სხვადასხვანაირია: ზოგი მხოლოდ თავის ოჯახს, გვარს, დაკლდება; რწეული ადამიანების გარდაცვალება კი, მთელ მხარეს, ქვეყანას დაამწუხრებს ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი დანაკლისი ახლახან განიცადა საქართველოს ულამაზესმა მხარემ — აჭარამ. 2003 წლის 21 ივნისს გარდაიცვალა თანამედროვე საქართველოში ცნობილი ქალბატონი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე მაგული გოგიგიძე-აბაშიძე. იგი იყო ქალთა არასამთავრობო გაერთიანების — „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ აჭარის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ეს ორგანიზაცია-გაერთიანება ჩამოყალიბდა ჩვენი სამშობლოს უმძიმეს დღეებში, როცა საქართველო სისხლისაგან იცლებოდა, 1992-93 წლებში, საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით. მას სათავეში უდგას ქალბატონი ნანული შევარდნაძე. ამ საზოგადოება-გაერთიანების მთავარი დანიშნულებაა მშვიდობის შენარჩუნება, მისთვის ბრძოლა, საზოგადოდ, სიცოცხლის გადარჩენა დღევანდელ სულიერად და მატერიალურად დაბალულ წუთისოფელში. ქართველ ქალს ისტორიულად მოსდგამდა ხოლმე ეს მოვალეობა. უხსოვარი დროიდან მომდინარეობს ეს ტრადიცია.

საქართველოში მშვიდობისა და სიცოცხლის გადარჩენას დიდი ამაგი დასდო სწორედ ზემოთ დასახელებულმა ქალთა ორგანიზაციამ, რომლის რეგიონალურ წარმომადგენლობას აჭარაში თავმჯდომარეობდა ქალბატონი მაგული გოგიგიძე-აბაშიძე. გარდა ამისა, იგი იყო აჭარის კულტურის ფონდის პრეზიდენტი. წლების მანძილზე ემსახურებოდა კულტურისა და განათლების კერების განახლება-აღდგენის, ახლად დაფუძნების კეთილშობილურ საქმეს.

ცხონებული ქალბატონის უშუალო მზრუნველობით, ყოველდღიური ყურადღებით, განხორციელდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სუკუნეზე მეტი ასაკის მქონე ძველი კორპუსის რესტავრაცია-აღორძინება.

იგი, როგორც აჭარის კულტურის ფონდის პრეზიდენტი, დიდად მრუნავდა აჭარაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უკეთ წარმართვისათვის. მისი დახმარებით მარგოოდენ მე გამოსაცემად მოვამზადე აჭარის ისტორიის დღემდე ნაკლებად ცნობილ, თუ საერთოდ დღემდე უცნობ, წყაროებზე დაყრდნობით შექმნილი რამდენიმე წიგნი, როგორიცაა: „ჩვენებურების ქართულის“ მეორე გომი, „ნაშთი ძველი დიდებისა“, „ჰოი, დედანო მარად ნეგარნო“, „აჭარის დიდებულება“, „მასალები აბაშიძეებისა და ხიმშიაშვილების საგვარეულო მაგიასათვის“.

ამ წიგნების შესაქმნელად საჭირო წყაროები მოვიპოვე ამ კეთილშობილი მანდილოსნის დახმარებით თურქეთის რესპუბლიკასა და ქალაქ ბაქონში. იგი

მეგად გულმოყვასი ადამიანი გახლდათ. აინგერესებდა საშღვარგარეთ იძულებით გადახვეწილ ქართველთა ბედი, მათი მდგომარეობა. ხშირად მოიკითხავდა ხოლმე თურქეთში, საფრანგეთში, ირანში მცხოვრებ ნათესავებს, ეპაგიეებოდა ისტორიულ სამშობლოში. სწორედ, მისი დავალების შესრულებისას გავიცანი თურქეთში მცხოვრები აბაშიძეები (სანჯაქოღლები), ხიმშიაშვილები (აჯარები, ბუიუქჩიზმეჯილარები, ბოსთანეები, გორმუშები, იავუზები), ათაბაგები, ციკაძეები (სევიუქები), ბეკანიძეები (თოლგალარები), ერისთავები (ქავქასლები), გოგიგიძეები (გოქციითები), შავიშვილები, ჯაფარიძეები (თურანები), ბალაძეები და სხვები.

ამ ქალბატონის დახმარებით დავიწყე სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის წიგნსაცავის აღწერა-კატალოგიზაცია. საუბედუროდ, მისი ავადმყოფობის გამო, ეს საქმე ერთხანს გაჩერდა. მაგრამ, ღვთის შეწევნით, დაწყებული საქმე განვაგრძეთ და დღესაც ვაგრძელებთ თურქეთ-საქართველოს კულტურისა და განათლების ფონდისა (პრეზიდენტი ნიპპთ ბოქციითი-გოგიგიძე) და საქართველოს საპატრიარქოს დახმარებით, აღნიშნული წიგნსაცავის პატრონისა და მეურვის ბაგონ სიმონ ზაბაძის ყოველდღიური მზრუნველობით.

მისი დახმარებით აჭარაში დაფუძნდა ეკონომიურად ხელმოკლე ადამიანთათვის უფასო სასადილოები, თავშესაფრები. იგი მზრუნველობას არ აკლებდა, აგრეთვე, მოხუცთა, უღედმამო ბავშვთა და აფხაზეთიდან დევნილთა საჭირბოროტო საკითხებს. ჭეშმარიტად მორწმუნე, ღვთისმოყვარე ადამიანი პატივს სცემდა ყველა გრადიციული რელიგიის მიმდევარს.

იგი იყო მეტად ფაქიზი, სათუთი სულისა და გულის პატრონი. მუსიკათმცოდნემ კარგად იცოდა მუსიკის ფასი და იღვწოდა აჭარაში მუსიკალური განათლების აღორძინებისათვის. მან მნიშვნელოვანი დრო და ყურადღება დუთმო ბათუმის საოპერო და საბალეტო თეატრების ბავშვთა კოლექტივების ჩამოყალიბებას, საბავშვო ოპერის შექმნას. მისთვის მთავარი იყო სიკეთის თესვა, საამშობლოზე მრუნვა. ყოველ ჩვენგანს მხოლოდ ჩვენს მიერ გაკეთებული კეთილი საქმის მადლი გაგვინათებს საიქიო ცხოვრებას. სხვა ყველაფერი წუთისოფელში დაგვრჩება ხოლმე...

ქართველი ქალისთვის ესოდენ ძვირფასი თვისებები ქალბატონ მაგული გოგიგიძე-აბაშიძეს შეძენილი ჰქონდა აჭარაში ცნობილი გვარების გოგიგიძეებს, ბლადაძეების (დედის მხრით) ჯანსაღი გენებისაგან. აბაშიძეების საპაგიო ოჯახში რძლად შესული კი, დაემატა აჭარის ჩინებული გვარის — ბეკანიძეებისა (დედამთილის მხრით) და აბაშიძეების (მეუღლის მხრით) გენებიდან მომდინარე დადებითი თვისებები. სწორედ ამით აიხსნება ამ ქალბატონის — როგორც სიკეთის მთესველი პიროვნების სამაგალითო ბუნების განმსაზღვრელი ნიშნები.

სამშობლოსადმი სიყვარულიც წინაპართაგან მოსდგამდა ამ კეთილ მანდილოსანს. მისი გვარის დიდი წინაპარი, საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი პიროვნება — სოლომონ გოგიგიძე — XVII საუკუნის მეორე ნახევარში ოლთისის ერისთავი გახლდათ, ყარსის ციხის ერთგული დარაჯი. მისი ეროვნულ-საგმირო საქმეების გამო, მშობლიურ სოფელს შემდეგში „სოლომონისი“ შეარქვა ხალხმა. მოგვიანებით, გოგიგიძეები ოლთისიდან ართვინსა და აჭარაში გადმოსახლდნენ. თავიანთი ვაჟკაცობით და სამშობლოს სიყვარულით მათ აქაც გაათქვეს სახელი. სწორედ, ამ გვარის სისხლი ჰყიოდა ქალბატონი მაგულის ძარღვებში.

საქართველოს განუყოფელ ნაწილში, აფხაზეთში, მდგომარეობა როცა დაიბაბა, იგი მზად იყო თავის შვილებთან ერთად მძევლად წასულიყო სოხუმში. ამით ცდილობდა ურთიერთნდობის გრძნობა გაეძლიერებინა მომდურებულ ძმებს შორის, ემრუნა მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ეს ამბავი 1993-1994 წლებში მოელმა საქართველომ იცოდა...

ქალბატონი მაგული გოგიგიძე-აბაშიძე იყო ჭეშმარიტი საზოგადო მოღვაწე, სამაგალითო მანდილოსანი, სიკეთის მთესველი მამულიშვილი.

ყოველი ჩვენგანისათვის დიდი დანაკლისია მისი ამ ქვეყნიდან წასვლა. ცხადია, ეს შეგად ძნელი ასაგანია მისი ოჯახისათვის, უახლოესი ნათესავებისათვის. ჩვენ ყველას გულწრფელ სამძიმარს მოვახსენებთ ამ უბედურებასთან დაკავშირებით. ღმერთმა გააძლიეროს მისი ოჯახი და დაამლევინოს ეს დიდი მწუხარება... ღმერთმა ნეთელში ამყოფოს ქალბატონი მაგულის სათუთი სული და შეციური საქართველოდან დაალღვინოს მიწიერი, ამქვეყნიური საქართველო. მსუბუქი იყოს მის მკერდზე დაყრილი მშობიერი მიწა.

სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერთან არსებული წიგნსაცავის შეშსწავლელ მეცნიერ-მუშაკთა სახელით

ზუზანა ფუტკარაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**სტამბოლი, ან